

შალვა დადიანი

მწერალი, დრამატურგი, რეჟისორი, ბელეტრისტი, მსახიობი, თეატრალი, პუბლიცისტი, პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე – ასეთი იქნ მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოვებული პიროვნება შალვა დადიანი, ვის გარეშეც წარმოუდგენელია XX საუკუნის ქართული სამწერლო-ლიტერატურული, თეატრალური სფერო და კინოსამყარო. არ არსებობდა მეტნაკლებად მნიშვნელოვანი კულტურული თუ პოლიტიკურ-საზოგადოებრივი საკოთხი, რომელშიც შ. დადიანის თავისი მადლიანი წვლილი არ შეებანა.

აი რას სწერს დიდებულ ქართულ ტრადიციებზე აღზრდილ შ. დადიანის შესახებ მისი თანამედროვე კონსტანტინე გამსახურდია – „შალვა არის ჩვენი იმედი და ჩვენი სინდისი. მე მიკვირს, პირდაპირ მიკვირს, საიდან აქვს ამდენი ულეველი ცოდნა, ის ხომ ცოდნის ნამდვილი სიძეველეთა მუხუჯმია. მას ბოლომდე შემორჩინ ვაუკაცობა და სულიერი თავადობა“. (იროდიონ ქორქიას მოგონებები – „როგორ წერდა შალვა დადიანი“ – „კრიტიკა“. ალმანახი, 1975 წ. გვ. 154).

შ. დადიანი დაიბადა 1874 წლის 8/20 მაისს დაბა ზესტაფონში. მამა – ნიკო დადიანი ფრიად განსწავლული ინტელიგენტი, მცოდნე და განათლებული პიროვნება, შესანიშნავად იცოდა საქართველოს ისტორია, ძველი და ახალი ქართული თუ ევროპული ლიტერატურა, ასერონომია, მედიცინა; პქნდა ბრწყინვალე საოჯახო ბიბლიოთეკა. დიდი პატრიოტის ოჯახში მიმდინარეობდა პატარა შალვას პიროვნული ფორმირება. ილიას, აკაკის, ი. მაჩაბლის, გარემოცვაში გაიზარდა.

შ. დადიანის დედა – ლიდია ანტონის ასული წულუკიძე, განათლებული, ოჯახის მოუკარული დიასახლისი, 4 წლის ასაკში გარდაიცვალა. შალვას და მისი დის აღზრდა მამის – ნიკო დადიანის უშუალო ხელმძღვანელობითა და მეთვალყურეობით მიმდინარეობდა.

როგორც თვითონ იხსნებდა, შ. დადიანი მამის ნიკო „ფილოსოფოსის“ ოჯახში შექმნილი ატმოსფეროს მეობებით მაღე მიერვია საზოგადოებრივ საკითხებზე ჩაფიქრებას. მისი ნიჭისა და განათლების ადრეული დასტურია ის ფაქტი, რომ 14 წლის მოზარდმა შალვამ დაიწყო ხელნაწერი ლიტერატურული ჟურნალის „მოზარდის“ გამოცემა, რომელშიც აისახა იმ დროისათვის პრობლემური და მკითხველისათვის სიანტერესო თემები: ქართული ფოლკლორი, ისტორიოგრაფიის საკითხები, მთარგნელობით მუშაობის პრინციპები; თავის დაარსებულ ჟურნალში შ. დადიანი მკითხველს აცნობდა ოკულტიზმისა და პიპოზის თემას; აღსანიშნავია, რომ ჟურნალის ერთ-ერთ ნომერში პირველად გავდასის ერთიანობის იდეა (1889 წ. № 17);

შ. დადიანის მიერ ჟურნალ „მოზარდის“ ნომრების შემაჯამებელი განხილვა შეიძლება მივიჩნიოთ ქართული ლიტერატურული კრიტიკის აღორძინების ერთ-ერთ პირველ მცდელობად. ჟურნალი გამოიყოფა 4 წლის მანძილზე – 1888 წლიდან 1892 წლამდე და იგი იყო პირველი საბავშვო ჟურნალი ცენზურის გარეშე. ყმაშვილი რედაქტორი თავის ჟურნალში განსაკუთრებულ ჟურადებას უთმობდა ქართულ ლიტერატურასა და თეატრს; თეატრალურ რეზისურთაში აკრიტიკებით მსახიობებსაც; იბრძოდა ქართული ენის სიწმინდისა და შეურყვნელობისათვის; მკითხველს „უტარებდა“ ე.წ. „გრამატიკის გაკვთილებს“, ესაუბრებოდა ენის სწორ ფორმებსა და მართლწერის საკითხებზე. თუ ჟურნალის სპეციალურ „დამატებებსაც“ ჩავთვლით, სულ გამოვიდა 80-მდე ნომერი, რაც შალვას, როგორც რედაქტორისა და წერილების მთავარი ავტორის მიერ გაწეულ მუშაობის უდიდეს მასშტაბსა და მონღომებაზე მეტყველებს. ჟურნალში თანამშრომლობდნენ: მიხა ცხაგაია, დუბუ მეგრელი, ლადო გაგუა, სამსონ ყიფიანი და სხვ. ამ ჟურნალს, როგორც ცენზურის გარეშე გამოსულ პერიოდულ ორგანოს, დიდი მნიშვნელობა აქვს იმქანინდელი საზოგადოებრივ-მორალური ატმოსფეროს გასათვალისწინებლად. დაახლოებით 1890 წელს ნიკო დადიანი თბილისში დასახლდა და შვილიც თან წამოიყვნა. შალვა განუწყვეტლივ კითხულობდა და მეცადინეობდა; ხშირად დადიოდა თეატრებში. მასზე უძლიერესი შთაბეჭდილება მოახდინა საგასტროლოდ ჩამოსულმა იტალიელმა მსახიობმა ერქესტო როსსიმ; მან იმდენად მოხიბლა შ. დადიანი, რომ მან გადაწევიტა სცენაზე თვითონაც ეცადა ბედი.

მართლაც, 1893 წელს, 19 წლის ასაკში იგი პირველად გამოიის ქუთაისის დრამატული თეატრის სცენაზე აღ. დიუმას „მარგალიტა გოტიეში“ (კ. მესხმა გამოიყვანა).

საზოგადეობას ძლიერ მოეწონა დამწეუბი მსახიობი, რეცენზენტებიც ქებით იხსენიებდნენ მის დებიუტს; მხოლოდ ნათესავები აღმფოთდნენ, მისი მსახიობობა დიდებული გვარის შეურაცხეოფად მიიჩნიეს.

შ. დადიანმა თავისი სამწერლო მოღვაწეობა მხატვრული პროზით დაიწყო, 1896 წელს, გახეთ „ივერიაში“ იგი „ქუჯის“ ფსევდონიმით ბეჭდავს თავის პირველ ბელეტრისტულ ხარმეობებს „წმინდა ცრემლები“. მწერალი მაქსიმალური მხატვრული ექსპრესიონითა და

მცირე ლექსიკური მოცულობით გადმოგვცემდა უდიდეს იდეური ტევადობის შინაარსს, მსოფლიხედგელობას, ფილოსოფიურ კონცეპციას.

შ. დადიანის თანამედროვე თეატრი წარმოადგენდა ქართული სიტყვის გამაჟდერებელ ტრიბუნას. მაყურებელს უკეთესი ცხოვრებისაკენ და სიციალური სამართლიანობისკენ რომ მოუწოდებდა. პიესებისა თუ როლების არჩევისას შ. დადიანი გამოდიოდა არა იმდენად პირადი ინტერესებიდან თუ გემოვნებიდან, რამდენადაც საზოგადოებრივ-ეროვნული პრობლემებიდან.

შ. დადიანის ხშირად უხდებოდა ყოფილიყო რევისორიც, მსახიობიც, გრიმიორიც, დეკორატორიც, შეატვარიც კ. მან იცოდა, როგორ მაყურებელთან პერნდა საქმე, და ხშირად წარმოდგენის დაწყების წინ იგი ხალხს უბრალო, გასაგები ენით განუმარტავდა პიესის შინაარსსა და აზრს, თავის რეპერტუარში ის მთავარ ადგილს უთმობდა ქართველი ხალხის ყოფის ამსახველს პიესებს.

შ. დადიანმა იცოდა, რომ ქართული სცენა ორიგინალური პიესების დიდ სიღარიბეს განიცდიდა და ამიტომ დრამატურგიის უანრში მუშაობას მეტი დრო მოახმარა, ვიდრე ბელეგტრისტიკას. ქართული თეატრის ისტორია წარმოუდევენელია შ. დადიანის ნოვატორული დრამატურგიის გარეშე.

შ. დადიანმა პირველმა სცადა დაეწერა ტრაგედია საბჭოთა სინამდვილის თემაზე: ავტორმა პიესაში ერთმანეთს დაუპირისპირა ძველი და ახალი ყოფა სვანების ცხოვრებიდან; მსგავსად ანტიკური თეატრისა, ტრაგედიაში გამოიყვანა ქორო.

შ. დადიანის პიესები: „შენი ჭირიმე“, „გეგეგეკორი“, „გუშინდელნი“, „კაკალ გულში“, „ნინოშვილის გურია“, „პუშკინი საქართველოში“ ტრიუმფით იღგმებოდა არა მარტო ქართულ, არამედ საბჭოთა კაგშირის სხვადასხვა ქალაქების დრამატული თეატრების სცენებზეც.

შ. დადიანის სხვა პიესებიდან აღსანიშნავია, აგრეთვე კომედია 4 მოქმედებად: „ცოცხი და ლოკოკინა“, კომედია „არაფერიც არ იქნება“, საღადობო „უწა-უწა“, „ბარათაშვილი“ და სხვ.

შ. დადიანის დრამატურგიის სფეროში მუშაობა ამით არ ამოიწურება – ქართული თეატრის რეპერტუარი მან გაამდიდრა ნათარგმნი პიესებითაც, ესენია: ლ. ანდრეევის „გაუდეამუს“, მირზა ფათალი ახუნდოვის „მუწის თავგადასავალი“, უ. შექსპირის „ჭირველის მორჯულება“, შილერის „მარიამ სტუარტი“, ბაირონის „მანფრედი“ და „სარდანაპალი“, პაუპტმანის „პენელე“ და „სული ობოლი“ და სხვ. ამ ნათარგმნი პიესების უმეტესი ნაწილი დაიდგა სცენაზე, „ჩემი თავი უფრო ბელეტრისტი მეგონა და ამ 30 წლის მონაქცევზე კი დრამატურგად გამოვედიო“.

შ. დადიანის კალამს ეპუთვნის 100-მდე მინიატურა და მცირე ზომის მოთხოვბა. ესენია: „ტყვე“, „შვილი“, „ლეკლა“, „დედოფალი“, „იახში ხანუმ“ და სხვ.

დიდი მოცულობის ბელეტრისტული ნაწარმოებებში, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოვიხსენიოთ რომანი „უბედური რუსი“ (გიორგი რუსი). მისი შინაარსი ისტორიულია და ეხება თამარ მეფის ცხოვრებასა და მოღვაწეობის იმ მონაკვეთს, როცა რუსეთის მთავრის ანდრე ბოგოლუბსკის შვილი იური და თამარი დაქორწინდნენ.

მეორე მისი რომანია „ურდუში“. აგრეთვე ისტორიულია და აღწერს 1857 წელს სამეგრელოში უტუ მიქავას მეთაურობით მომხდარ გლეხთა აჯანყებას. ამათ გარდა მწერალს აქს დაწერილი რომანი „მენჯი რობუ“ და „სიტყვა ჭეშმარიტი“.

შ. დადიანი მრავალი კრიტიკული სტატიის და ისტორიული ნარკვევის ავტორია, სადაც იგი ეხება ლიტერატურისა და სახვენო ხელოვნების საკითხებს. საინტერესო მისი ლიტერატურულ და თეატრალურ საკითხებზე დაწერილი შრომები: „ნიკო შიუკაშვილი“, „სანდრო შანშიაშვილი“, „ია ეკალაძე“, „პუშკინი, როგორც დრამატურგი“, „რეალისტი მწერალი“ (დუტუ მეგრელის შემოქმედების შესახებ), „ხაჩატურ აბოვიანი“, „ემილ ზოლა და თეატრი“, „დრამატურგია დღეს“, „აქსენტი ცაგარელი“, „ქართული თეატრის განვითარების გზები“, „ბებერი კედლები“, „ელიონორა დუბა“, „ტასო აბაშიძე“, „მაყურებელი“, „თამაში“ და მრავალი სხვა.

შ. დადიანს დაწერილი და გამოქვეყნებული აქვს მრავალი პუბლიცისტური წერილი, თავის სტატიებში იგი ძირითადად ეხება საქართველოს პოლიტიკურსა და საყიფაცხოვრებო საკითხებს.

შ. დადიანმა მემუარულ ლიტერატურაშიც შეიტანა თავისი მოკრძალებული წელილი, დაწერა და გამოაქვეყნა მოგონებები: „სილუეტი ნიკო დადიანისას“ (თავის მამაზე), „ლადო მესხიშვილი“, „ვასო აბაშიძე“, „ეველინა წუწუნავა“, ავტობიგრაფიული მოგონება „შიშველი მე“ (ამ მოგონების გამოქვეყნების ნება რედაქციებს ავტორმა თავისი სიცოცხლეში არ მისცა).

შ. დადიანს, როგორც მსახიობს შესრულებული აქვს 290-ზე მეტი სხვადასხვა ხასიათის როლი, მათ შორის აღსანიშნავია: არჩილი (ნ. შიუკაშვილის „მეგობრობა“), თოარბეგი, სულეიმანხანი, ბესო (ალ. სუმბათაშვილის პოემა „დალატი“), სვიმონ ლეონიძე (დ.

ერისთავის პოემა „სამშობლო“), შოთა რუსთაველი (პ. მესხის „რუსთაველი“), დადია (თავისივე პიესაში „გეგეტკორი“), მსახიობი (ზ. გორგის „ფსკერზე“) და მრავალი სხვა.

1907 წლიდან შალვა დადიანი, მსახიობობის პარალელურად, სარეკისორო ასპარეზზეც გამოდის. დ. ერისთავის დრამა „სამშობლო“ მისი ხელმძღვანელობით დაიდგა და დიდი ტრიუმფითაც ჩატარდა.

შ. დადიანის რეკისორობის დროს ქუთაისის დრამატულმა თეატრმა მაყურებელს უჩვენა შემდგენ სპექტაკლები: ალ. სუმბათაშვილის „ლალატი“, აკაკის „პატარა კახი“, ა. ცაგარელის „ქართველი დედა“, პ. ირეთელის „დამარცხებულნი“, მ. გორგი, „ფსკერზე“ და სხვა.

1912 წელს შ. დადიანის მეთაურობით ჩამოყალიბდა ე. წ. „მოგზაური დასი“, რომელიც მიზნად ისახავდა წარმოდგენების გამართვას ზღვისპირა ქალაქებში; დასს ბაზა ბათუმში პქნოდა. აქვე დააარსა დიდმა დრამატულმა დრამატული საზოგადოება, სათეატრო საქმეს სათავეში ჩაუდგა და „მოგზაური დასი“ ბათუმის თეატრად გადაკეთდა. ამრიგად ბათუმის პროფესიული თეატრის ერთ-ერთ ფუძემდებლად შალვა დადიანიც ითვლება. 1916-1917 წლებში სეზონში შალვა დადიანი ხელმძღვანელია, რეკისორად და მსახიობად მიიწვიეს ბაქოს ქართულ თეატრში. ის აქაც მისთვის ხვეული ენერგიითა და ხალისით ჩაუდგა საქმეს სათავეში და თეატრი ფეხზე დააყენა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რაც თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის ხელნაწერთა ფონდში დაცული მასალითაც დასტურდება, რომ მუზეუმის დაარსებაში დავით არსენიშვილთან, აკ. ფადავასთან და იოსებ იმედაშვილთან ერთად შ. დადიანსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის.

შ. დადიანი ეროვნული კინემატოგრაფის ორგანიზაციის საკითხით იყო დაინტერესებული ჯერ კიდევ 1911 წლიდან იყო. შ. დადიანი პირველია, ვინც შეეცადა შეექმნა ქართული მხატვრული კინოსურათი. მან განიზრახა ფირზე გადაედო შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“. ამ მიზნით 1911 წელს სცენარი დაწერა და ფრანგულ ფირმა „პატესთან“ გამართა მიმოწერა, მაგრამ უშედგეოდ. შ. დადიანი „ვეფხისტყაოსანის“ ეკრანიზაციას ცდილობდა გერმანიაშიც. ამ მიზნით მეუღლებ - ელო ანდრონიკაშვილმა წერილი გაუგზავნ ცნობილ ქართველ მწერალ-მეცენატს აკაკი ხოშტარიას.

კინოში მუშაობის შესახებ თავის მოგონებებში შ. დადიანი აღნიშნავს: „პირველი მე მომიხდა პირველი კინოსცენარის დაწერა არსენა ჯორჯიაშვილზე... ამას გარდა მე მეცუთვის იმ ხანებში დადგმული სურათების კინო-სცენარები: „ტარიელ მკლავაძის საქმე“, „ქარიშხლის წინ“ და კონსულტირება ყაზბეგის „მოძღვრისა“.

ამრიგად, შ. დადიანი ავტორია შემდეგი მხატვრული სურათების სცენარებისა: „არსენა ჯორჯიაშვილი“ (1921 წ. რეჟ. ი. პერესტიანი), „ქარიშხლის წინ“ (1924 წ. რეჟ. პ. მარჯანიშვილი), „ტარიელ მკლავაძის მკვლელობის საქმე“ (1925 წ. რეჟ. ი. პერესტიანი), 1926-1928 წლებში შექმნა სცენარები: „მოწამეთა“, „დავით დროიძე“, „1905 წლის რევოლუციის გარშემო საქართველოში“, მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი „აბრეშუმი“, „უქმური“ (1934 წ. ნ. ლოლობერიძესთან ერთად, რეჟ. ნ. ლოლობერიძე), „ნიკო და ნიკორა“ (1954 წ. ა. ხინთიბიძესთან ერთად, რეჟ. ა. ხინთიბიძე). შესრულებული აქვს შემდეგი როლები: მოხუცი თავადი წერითელი ქუში „სურამის ციხე“, მოძღვრის როლი ქუში „მოძღვარი“, ერთ-ერთი როლი 1941 წელს რეჟ. ნ. შენგალიას მიერ სამამულო ომის თემაზე გადაღებულ მცირებებრაჟიან სურათში „შავი მოები“.

შ. დადიანი მოელი თავისი ხანგრძლივი და საინტერესო ცხოვრების მანძილზე კულტურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის პარალელურად აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქვეყნის პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ პროცესებში. იგი იყო ქართული დრამატული საზოგადოების, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამარცხელებელი საზოგადოების, ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების, ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზოგადოების საპატიო წევრი. მისი ინიციატივითა და ორგანიზაციორობით 1914 წელს მოეწყო საქართველოს სათეატრო მოღვაწეთა I ყრილობა.

1917 წელს შ. დადიანის ხელმძღვანელობით დაარსდა ქართველ მსახიობთა კავშირი, რომლის თავმჯდომარედაც ის აირჩიეს.

შ. დადიანი იყო მწერალთა კავშირის გამგეობისა და პრეზიდიუმის მუდმივი წევრი დღიდან კავშირის დაარსებისა მის გარდაცვალებამდე (1959 წლამდე).

1924-1926 წ. წ. შ. დადიანი მუშაობდა მოსკოვში ქართული კულტურის სახლის გამგედ და რეკისორ ვახტანგ მჭედლიშვილის მიერ დაარსებულ დრამატული სტუდიის ხელმძღვანელად.

1923 წელს შ. დადიანს დიდი ზეიმით გადაუხადეს მოღვაწეობის 30 წლისთავის აღსანიშნავი იუბილე, მთავრობის დადგენილებით მას მიენიჭა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

1937 წელს შ. დადიანი აირჩიეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

1946 წელს იგი მეორედ აირჩიეს დეპუტატად.

1945 წელს ის დაინიშნა საქრთველოს სახელმწიფო სათეატრო მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს წევრად.

შალვა დადიანი საკმაოდ კარგად ხატავდა, თავისი უურნალისათვის და პიესებისთვის თვითონვე ადგენდა ნახაზებს, ქმნიდა ესაზოგადი ხანახატებს. შ. დადიანის ფონდში დაცულია მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული მწერლის მიერ შექმნილი მხატვრული შემოქმედებითი პროდუქცია.

1947 წელს შ. დადიანმა სიცოცხლეშივე შემოიტანა ოეატრალურ მუზეუმში თავისი ე. წ. „არქივის“ უდიდესი ნაწილი, რომელსაც თან დაერთო შესაბამისი ანდერძი.

შ. დადიანი გარდაიცვალა 1959 წელს. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

შალვა დადიანის პირადი საარქივო ფონდი

ბიოგრაფიული და საზოგადობრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. ქუთაისის მაზრის უფროსის რეზოლუცია სოფ. გოჩა-ჯიხაიშვი გასამართავი სპექტაკლის პროგრამაზე: 1. რ. ერისთავის „Вата“ 2. ვ. გუნიას კომედია „Тестъ хуже тещи“ შ. დადიანის მონაწილეობით.

1909 წ. 1 ივნისი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

2. ხელშეკრულება დადებული შ. დადიანსა და ხაიმ შმაევსკის შორის – ბათუმის ქართველ მსახიობთა ამხანაგობის წევრთათვის წარმოდგენების გასამართავი შენობის დაქირავებასთან დაკავშირებით.

1912 წ. 28 აგვისტო. ბათუმი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: ხ. შმაევსკი, ი. ბარველი და შ. დადიანი. ქვ. რუსული შრიფტი. რუსულ ენაზე. 2 ფ.

3. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბაქოს ფილიალის დრამატული კომიტეტის მოწმობა გაცემული შ. დადიანის სახელზე, აკაკი წერეთლის დაკრძალვაზე გამომგზავრებასთან დაპავშირებით.

1915წ. 3 თებერვალი. ტიტულიანი ბლანკი. ხელნაწერი. ხელს აწერენ: კომიტეტის თავმჯდომარე – თაქთაქიშვილი, მდივანი – ა. ახობაძე. მელანი. 1 ფ.

4. შ. დადიანის წერილი ქუთაისის ქართული დასის რეჟისორების – ივ. ბარველისა და მიხ. ქორელისადმი, ეროვნული ყრილობის მოწვევასთან დაპავშირებით.

1917 წ. 1 ნოემბერი. ავტოგრაფი. შტამპი. მელანი. 1 ფ.

5. შ. დადიანის წერილობითი თხოვნა თბილისის ქალაქის თვითმმართველობის გამგეობის წევრის – აკაკი პაპავასადმი, ამცნობს მწერალთა ერთი ჯგუფის განზრახვას მისი (შ. დადიანის) რედაქტორობით სამხატვრო და სამეცნიერო კოველეგიორგული უურნალის – „ცის-ბრის“ გამოცემის შესახებ. ითხოვს სტამბისთვის ადგილს.

1919 წ. 19 სექტემბერი. ავტოგრაფი. მელანი. 1 ფ.

6. ქართველ მსახიობთა საპროფესიო კავშირის საბჭოსა და შ. დადიანს შორის დადებული ხელშეკრულება, დასში რეჟისორ-მსახიობად მუშაობის შესახებ.

1919 წ. დეკემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. ხელს აწერენ: მ. ფრონისპირელი და ალ. ყალაბეგიშვილი. 1 ფ.

7. შ. დადიანის განცხადება შინაგან საქმეთა მინისტრისადმი ყოველკვირკველი სამხატვრო სამეცნიერო უურნალის – „ცის-ბრის“ დარსების შესახებ. ერთვის ვლ. ჯაფარიძის მიერ შესრულებული საუკრნალო ყდის ჩანახატები.

1919 წ. ავტოგრაფი. 1 ფ.

8. ქუთაისის დრამატული თეატრის დასის სხდომის ოქმი სპექტალების ჩვენებასთან დაკავშირებით და თეატრში შექმნილი ვითარების ასახსნელად თბილისში კავშირის გამგეობისთვის ინფორმაციის მიწოდების შესახებ.

1921წ. 13 იანვარი. ავტოგრაფი. 1 ფ.

9. მიმართვა ამერიკის კომიტეტისადმი საგასტროლო ტურნეში ქართული დრამის მსახიობების – შ. დადიანისა და ე. ანდრონიკაშვილის გაძარცვასთან დაკავშირებით.

1921 წ. 30 მაისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

10. ბაქოს ქართული თეატრის გამგეობის წევრთა ერთობლივი წერილი განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულ მთავარ სახელოვნო კომიტეტის მდივნის – შალვა აფხაიძის სახელზე. შ. დადიანის დაბადებიდან 50 წლის და შემოქმედებითი მოღვაწეობის 30 წლის იუბილეზე დელეგაციებს გამოგზავნისა და ბაქოში დრამატურგ-მწერლისთვის მსგავსი იუბილის მოწყობის შესახებ.

1922 წ. 5 იანვარი. ხელს აწერს – დ. მამარდაშვილი. ხელნაწერი. შტამპი. ქართულ ენაზე. 1 ფ.

11. სახალხო განათლების კომისარიატის განყოფილების გამგის – შალვა დადიანის მოკლე ანგარიში ჩატარებული საქმიანობის შესახებ – საქართველოს თეატრების (თბილისისა და რაიონების თებერების) საქმიანობის, მათი სამომავლო გეგმების და კინოს საკითხებზე. (თბილისის თეატრები: რუსთაველის თეატრი, ოპერის თეატრი, მუსიკალური კომედიის თეატრი, კამერული თეატრი, ეწ. „ზუბალაშვილების თეატრი“, სუმბათაშვილის სახელობის მოწაფეთა დასი და სხვა. რაიონის თეატრები: ჭიათურა, ბათუმი, ქუთაისი).

1922 წ. 12 იანვარი. ავტოგრაფი. 7 გვ.

12. სახალხო განათლების კომისარიატის მიერ გაცემული მოწმობა შ. დადიანისადმი, საქართველოში დამშეულთა დამხმარე მთავარი კომიტეტისგან აწარმოოს მოლაპარაკება, თბილისის თეატრების, კინოთა და ქიმერიონის მმართველებთან დამშეულთათვის კონცერტების, წარმოდგენების, გახშმის გამართვასთან დაკავშირებით..

1922 წ. 24 თებერვალი. ნაბეჭდი. ბლანკი. ხელს აწერენ: დამხმარე მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე და მდივანი (გვარები არ იკითხება) 1 ფ.

13. „საქართველოს ბუნების და ყოფა-ცხოვრების კინემატოგრაფისტთა გადამდებ საზოგადოების საინიციატივო ჯგუფის სხდომის ოქმი. დამსწრენი: ივ. ჯავახიშვილი, გ. ლასხიშვილი, დ. შევარდნაძე, შ. დადიანი. მოისმინებ: მომავალი სურათის გადაღების პროგრამისა, საქართველოს ბუნების გადაღება სხვადასხვა კუთხეებში.

1922 წ. 28 ივლისი. ავტოგრაფი. მელანი. 4 ფ.

14. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიმართვა შ. დადიანისადმი, უგზავნის ფულად ჯილდოს.

1923 წ. 2 თებერვალი. შტამპი. ნაბეჭდი. 1 ფ.

15. ფხაზეთის ქართული კოლექტივის გამგეობის დადგენილება, აფხაზეთის დრამატული წრის დაარსებასთნ დაკავშირებით შ. დადიანის საპატიო წევრად არჩევის შესახებ.

1923 წ. 8 მაისი. სოხუმი. ხელნაწერი. შტამპი. მელანი. ბეჭედდასმული. ხელს აწერენ: მ. ანჩაბაძე, ლ. ქუჩულორია, ელ. ერქომაიშვილი, რ. ჩხარტიშვილი, მიქაძე, პ. ლორთქიფანიძე. 1 ფ.

16. სსრ სახალხო განათლების კომისარიატის მიერ გაცემული მანდატი შალვა დადიანის სახელზე, დასავლეთ საქართველოში მივლინებასთან დაკავშირებით.

1923 წ. 15 ივნისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ხელს აწერენ: გრ. რობაქიძე, დ. კანდელაკი, პ. ბოკერია. ქართულ და რუსულ ენებზე. 2 ფ.

17. განათლების კომისარიატის ბრძანება, რეორგანიზაციის გამო შალვა დადიანის „თეო“-ს გამგეობიდან გადაყენების შესახებ (ბრძანებაში აგრეთვე მოხსენიებულია ვასილ იგნატოვიც). 1923 წ. 20 ივნისი. ნაბეჭდი. 1 ფ.

18. სსრ სახალხო განათლების კომისარიატის მიერ გაცემული მოწმობა, რომ შალვა დადიანი ნამდვილად ითვლება განათლების სახელმწიფო კომისარიატის პენსიონერად და თვეში იღებს 25 მანეთს.

1923 წ. 31 აგვისტო. ბლანკი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ხელს აწერენ: საქმეთა მმართველი და მდივანი (გვარები არ იკითხება). 1 გვ.

19. სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირის მსახიობთა კულტსექციის საბჭოს თავმჯდომარის – აპ. ფადაგას შეტყობინება შ. დადიანისადმი, სოხოვს თანამშრომლობას მათ მიერ გამოსაცემად განზრახულ ჟურნალში სახელწოდებით „2 იანვარი“.

1923 წ. 1 ნოემბერი. ავტოგრაფი. მელანი. ბლანკი. 1 ფ.

20. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს სექციის მდივნის – მიხ. ბოჭორიშვილის შეტყობინება შალვა დადიანისადმი, იწვევს საბჭოს სამეცნიერო საფინანსო კომისიის სხდომაზე.

1923 წ. 14 დეკემბერი. ხელს აწერს მ. ბოჭორიშვილი. ბლანკი. ბეჭედდასმული. ნაბეჭდი. 1 ფ.

21. სსრ სახალხო განათლების კომისარიატის მიერ გაცემული მოწმობა შალვა დადიანის სახელზე, ბაქოში მისი საპატივსაცემოდ გამართულ საიუბილეო სპექტაკლზე დასწრებასთან დაკავშირებით.

1924 წ. 22 მარტი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: გრ. რობაქიძე, ა. შალიკაშვილი. ბეჭედდასმული. დაზიანებული. რუსულ ენაზე. 1 ფ.

22. ბაქოს სახელმწიფო დრამატული ოეატრის თანამშრომელთა სახელით, ოეატრის დირექტორის მისალოცი ბარათი შალვა დადიანისადმი, ულოცავს შემოქმედებითი მოღვაწეობის 30 წლის იუბილეს.

1924 წ. 27 მარტი. შტამპი. ბეჭედდასმული. ხელს აწერს: პოლონაზინი. რუსულ და აზერბაიჯანულ ენებზე. 1 ფ.

23. მოწმობა გაცემული სსრ სახალხო განათლების კომისარიატის მიერ შალვა დადიანის სახელზე, მისი პენსიით უზრუნველყოფის შესახებ.

1924 წ. 25 ივნისი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: საქმეთა მმართველი და მდივანი (გვარები არ იკითხება). 1 ფ.

24. ვახტანგ მჭედლიშვილის სახელობის ქართული სტუდიისა და მოსკოვში ქართული კულტურის სახლის ადმინისტრაციულ-ფინანსური და კულტურულ-მხატვრული დებულება, დამტკიცებული საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის მიერ.

1924 წ. 16 აგვისტო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე, 4 ფ. (2 ეგზ.).

25. შ. დადიანის მიმართვა „სტუდიის“ კანცელარიისადმი და პასუხი.

1926 წ. 11 იანვარი. ახლი. ხელს აწერს: ა. იაკობიშვილი და გ. კაჭარავა. ნაბეჭდი. 1 ფ.

26. შ. დადიანისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობას შორის დადგბული ხელშეკრულება, შ. დადიანის თხზულების – „ყოილნარი“ II ტომის გამოცემასთან დაკავშირებით.

1926 წ. 19 აგვისტო. ბლანკი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ხელს აწერენ: შ. დადიანი და მეორე ხელმოწერა გაურკვეველია. 1 ფ.

27. შ. დადიანის პირადი ფურცელი.

1926 წ. ნაბეჭდი. ავტოგრაფი. ქართულ და რუსულ ენებზე. დაზიანებული. 4 ფ. (2 ეგზ.).

28. სსრ განათლების სახალხო კომისარიატის ხელოვნების განყოფილების ოქმი (19. II. 1927 წ.) დღის წესრიგი:

1. შ. დუდუხავას პროექტის განხილვა;
2. ჟურნალის – „საბჭოთა ხელოვნება“ და ოეატრების ხელმძღვანელად შ. დუდუხავას დანიშვნის საკითხი;
3. ს. ქორიძის სამუსიკო განათლების ხელმძღვანელად (თბილისსა და პროვინციაში) დანიშვნის საკითხი;
4. ი. ხატიაშვილის კანცელარიისა და შინაური სამეცნიერო საქმის ხელმძღვანელად დანიშვნის საკითხი;
5. ხელოვნების განყოფილების ფონდის შექმნის საკითხი (ს. ქურიძე, შ. დადიანი).

1927 წ. 19 ოქტომბერი. ნაბეჭდი. 1 ფ.

29. სამეცნიერო და სახელოვნებო დაწესებულებათა მთავარმმართველობის სხდომის ოქმი №2 (30/II-1927 წ.) ესტრებოდნენ: ს. თოხაძე, შ. დადიანი, ლ. ჯაფარიძე, ი. ხატიაშვილი. დღის წესრიგი:

1. საოპერო და დრამატული სტუდიების დებულებების შესახებ;
 2. დრამატურგთა საზოგადოების დაარსებია;
 3. ქ. ქუთაისში სამუსიკო ტექნიკუმთან დრამატული სტუდიის დაარსების დროებით შეჩერება;
 4. საინიციატივო ჯგუფის განცხადებაზე სახალხო ოპერის დაარსების შესახებ (უარი ეთქვათ);
 5. პროვინციის სამუსიკო სახწავლებლებისთვის (ფოთი, სამტრედია, სენაკი) სუფსიდიის მიცემის საკითხი;
 6. თფილისის სამუსიკო სასწავლებლებისთვის სახელწოდების შეცვლის საკითხი;
 7. დიდი საბჭოთა ენციკლოპედიისთვის ლიტერატურული და ხელოვნების სიტყვარის შედგენის შესახებ;
 8. ხელოვნების სასახლის მთავარმართველობის განკარგულებაში გადასვლის საკითხი;
 9. თეატრალური მუზეუმის საკითხი;
 10. მუსიკალურ კოლეგიის მუშაობის გაუმჯობესების საკითხი, ლ. ჯაფარიძის წინადაღების განხილვა;
 11. ძველ მსახიობთა დრამატული კოლექტივის დაარსების საკითხის განხილვა;
 12. აკრობატების კურსების შესახებ;
 13. მოძრავი თეატრის შექმნის საკითხი (ზაფხულში საქართველოს აკადემიური თეატრის მოგზაურობა).
- 1927 წ. 30 თებერვალი. ნაბეჭდი. 2 ფ.
30. მანდატი – სსრ სახალხო განათლების კომისარიატის ხელოვნების განყოფილების მიერ გაცემული შ. დადიანის სახელზე, პროვინციებში სამივლინებოდ, „სათეატრო საქმეების გასაცნობად“ და რევიზიის მოსაწყობად.
- 1927 წ. 23 მარტი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ხელს აწერენ: დ. კანდელაკი, ი. ხატიაშვილი. 1 ფ.
31. სახელმწიფო აკადემიური თეატრების სამსატერო საბჭოს დებულება, საბჭოს შემადგენლობისა და ფუნქციების შესახებ.
- 1927 წ. 17 აგვისტო. ნაბეჭდი. 1 ფ.
32. სსრ სახალხო განათლების კომისარიატის მიერ გაცემული მოწმობა შალვა დადიანის სახელზე, სათეატრო საქმეების გამო ქალაქ ბათუმში მივლინებასთან დაკავშირებით.
- 1927 წ. 17 სექტემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ხელს აწერენ: განყოფილების გამგელ. ჯაფარიძე, განყოფილების მდივანი ხატიაშვილი. 1 ფ.
33. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნის – კ. ლორთქიფანიძის შეტყობინება შ. დადიანისადმი, განსახულის ხელოვნების განყოფილებასთან არსებული დრამატულ ნაწარმოებთა საპრემიერო შეჯიბრების ჟიურის წევრად გაგზავნის შესახებ.
- 1927 წ. 28. სექტემბერი. ხელს აწერს: კ. ლორთქიფანიძე. ბლანკი. ნაბეჭდი. 1 ფ.
34. საქართველოს პროფესიონალურ საწარმოო კავშირთა საბჭოს მოწმობა, გაცემული შალვა დადიანის სახელზე, ქალაქ თბილისის თეატრებსა და კლუბებში სპექტაკლებზე, კონცერტებზე დაუბკოლებლად და საფასურის გადახდის გარეშე შესვლისათვის.
- 1927 წ. 16 დეკემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. ქართულ და რუსულ ენებზე. ხელს აწერენ: მ. ხითარევი და დ. კანდელაკი. 1 ფ.
35. სამეცნიერო და სახელოვნო დაწესებულებათა მთავარმმართველობის ოქმი №3, 1927 წლის 19 დეკემბერი. ესტრებოდა შ. დადიანი.
- დღის წესრიგი:
1. დრამატურგთა, კომპოზიტორთა და კინოსპეციალისტთა საზოგადოების დაარსების შესახებ;
 2. სათეატრო სკოლის დაარსების შესახებ;
 3. კობახიძის დრამატული სახელოსნოს გაუქმება;
 4. მუშათა თეატრის რუსული სექტორის მიერ განხორციელებული ერთი დადგმის („გამულანგველები“) შესახებ.
- 1927 წ. 19 დეკემბერი. ნაბეჭდი. 1 ფ.
36. შ. დადიანის მოხსენებითი ბარათი სახალხო განათლების კომისარიატთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მუშაობის შესახებ. ზოგადად მიმოხილულია: ოპერის,

კონსერვატორიის, შ. რუსთაველის თეატრის, სამხატვრო აკადემიის, ხელოვნების სახლის თეატრალური მუზეუმის მუშაობა.

1927 წ. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 ფ.

37. „გასამრჯელოების სია“ მწერალთა და კომპოზიტორთა დრამატული საზოგადოების წევრის – შალვა დადიანის თეატრალურ სფეროში მუშაობის შესახებ.

1928 წ. 30 აპრილი. მინაწერით. ბლანკი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 2 ფ.

38. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის მოწმობა, გაცემული შალვა დადიანის სახელზე, საოეგრო მუზეუმის დირექტორად მუშაობის შესახებ.

1928 წ. 25 ივნისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: კანდელაკი (განათლების სახ. კომისარი), ა. მაშაშვილი, ი. რუხაძე. 1 ფ.

39. ხელშეკრულების ასლი დადებული დრამატურგ შალვა დადიანსა და ქუთაისი-ბათუმის სახელმწიფო თეტრის ადმინისტრაციის წარმომადგენელს შორის პიესის – „კაკალ გულში“ ერთი წლის ვადით დადგმასთან დაკავშირებით.

1928 წ. 19 სექტემბერი. ავტოგრაფი. ხელს აწერს: ქუთაისის სახელმწიფო თეატრის დირექტორი – გ. თუთბერიძე. 1 ფ.

40. შ. დადიანსა და ქუთაისი-ბათუმის სახელმწიფო თეატრის მთავარ ხელმძღვანელს – კ. მარჯანიშვილს შორის დადებული ხელშეკრულება, შ. დადიანის პიესის – „კაკალ გულში“ სცენური განხორციელებისას შესაბამისი პონორარის დადგენის შესახებ.

1928 წ. 26 დეკემბერი. ხელნაწერი. მელანი. ბეჭედდასმული. ხელს აწერს: ქუთაისი-ბათუმის თეატრის დირექტორი – გ. თუთბერიძე. 1 ფ.

41. დრამატურგ შალვა დადიანსა და კომპოზიტორ ივ. გოგიელს შორის დადებული ხელშეკრულება პიესისთვის – „კაკალ გულში“ მუსიკის დაწერასთან დაკავშირებით.

1929 წ. 4 ოქტომბერი. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

42. შ. დადიანის „შრომის სია“.

1929 წ. 14 ოქტომბერი. დასტამბული. ხელით შევსებული. ბეჭედდასმული. 6 ფ.

43. შ. დადიანის განცხადებები, საქართველოს ცეკის პრეზიდიუმისადმი, საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

1930 წ. ავტოგრაფი. მელანი. 2 ფ.

44. ცნობა, გაცემული სსრ განათლების სახ. კომისარიატის მიერ, თბილისში მოძრავი თეტრის დაარსების შესახებ.

1931 წ. 11. თებერვალი. ხელას აწერენ: საქ. გან. სახ. კომისრის მოადგილე – გეგენავა და თეტრ. და სანახაობათა საწარმოო სამმართველოს უფროსის მოდგილე – დ. კანდელაკი. ბლანკი. ნაბეჭდი. 1 ფ.

45. შ. დადიანის „მინდობილობა“, აკაკი ფადავას სახელზე შედგენილი („თეონულდი“-ს პონორალის აღებასთან დაკავშირებით).

1931 წ. 12. მაისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

46. შ. დადიანის განცხადება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსადმი, მისოფის პერსონალური პენსიის შეკვეცის გამო. ერთვის თავისი თხზულებებისა და მის შესახებ პიესაში გამუქებული ჟუბლიკაციების ნუსხა, აგრეთვე ამონაწერი შრომის წიგნაკიდან.

1931 წ. მაისი. ავტოგრაფი. მელანი. 6 ფ.

47. მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მუზეუმის დირექციის მიმართვა შ. დადიანისადმი, მის ხელთ არსებული საინტერესო შემოქმედებითი მასალის მათი მუზეუმისთვის გადაცემასთან დაკავშირებით.

1931 წ. 26 ივნისი. ნაბეჭდი. შტამპი. 1 ფ.

48. კ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის სახელმწიფო მუსიკალური თეატრის დირექციის მიმართვა შ. დადიანისადმი, ტრაგედიის – „თეონულდი“ მუსიკალურ ნაწარმოებად გარდაქმნის თაობაზე (წერილში გაკრიტიკებულია დ. მ. მეეროვისეული „თეონულდი“-ს თარგმანი).

თეატრის დირექცია ახალი თარგმანის შესრულებასთან დკავშირებით სთავაზობს თავის კანდიდატურას – პოეტ ედ. ბაგრიცისი).

1932წ. 12 თებერვალი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

49. დოკუმენტაცია (ამონაწერი ოქმიდან, ხელშეკრულების ასლი) შ. დადიანის პიესის – „თეონულდი“ ხარჯვის ბერეზილის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე დადგმასთან დაკავშირებით.

1932 წ. 16 მაისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

50. ცნობა და ამონაწერი ოქმიდან №18. შ. დადიანის პიესის – „თეონულდი“ ხარჯვის ბერეზილის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე დადგმასთან დაკავშირებით.

1932წ. 25. სექტემბერი. ნაბეჭდი. უკრაინულ ენაზე. 1 ფ.

51. რეჟისორ ივ. პერესტიანის წერილი ამიერკავკასიის დრამატული კომიტეტისადმი, შ. დადიანისა და მისი პონორარის განაწილების შესახებ (წერილში საუბარია ქ'ფ-ზე „მკლავაძის საქმე“).

1932წ. 22. ნოემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

52. ფოთის თეატრის რეჟისორის ბორის გამრეკელის ხელწერილი, შ. დადიანის პიესების – „შავი ქვა“ და „უწა-უწა“ მიღების შესახებ სამხატვრო პოლიტ. სამბჭოსთვის გასაცნობად.

1933წ. 4 იანვარი. მელანი. ხელნაწერი. 1 ფ.

53. ჭიათურის მუშათა თატრის დირექტორსა (რეჟისორი პ. ფრანგიშვილი) და დრამატურგ შ. დადიანს შორის დადებული ხელშეკრულება თეატრისთვის პიესის – „ნინოშვილის გურია“ დაწერასთან დაკავშირებით.

1933 წ. 1 ოქტომბერი. ავტოგრაფი. მელანი. 1 ფ.

54. კინოფილმის – „კ ვლასტი“ გადამდები ჯგუფის ადმინისტრაციასა და შალვა დადიანს შორის დადებული ხელშეკრულება, ფილმის სცენარის საბოლოო ლიტერატურულ დახვეწასთან (გაფორმებასთან) დაკავშირებით.

1933 წ. 1 ნოემბერი. ნაბეჭდი. ხელს აწერებ: შ. დადიანი და ა. გუგუშვილი. 1 ფ.

55. სსსრ განათლების სახ. კომისარიატის მიერ გაცემული ცნობა შალვა დადიანის სახელზე, ტფილისის პირველი მოძრავი თეტრის სამხატვრო ნაწილის გამგედ მისი შუშაობის შესახებ.

1933წ. 13 დეკემბერი. ხელს აწერებ: განსახ. თეატრ. სანახ. სამმართველოს უფროსის მოადგილე – გ. ბუხნიკაშვილი და ასუხისმგებელი შემსრულებელი ანანიაშვილი. ბლანკი. ბეჭედდასმული. ნაბეჭდი. 1 ფ.

56. ხელშეკრულება დადებული კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დირექტორს – დ. ანთაძესა და დრამატურგ შალვა დადიანს შორის, ლ. არდაზიანის თხზულების – „სოლომონ ისაკი მეჯდანუაშვილი“ პიესად გადაკეთებასთან დაკავშირებით.

1934 წ. 31 მაისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ხელს აწერებ: თეატრის დირექტორი – დ. ანთაძე და დრამატურგი შ. დადიანი. 1 ფ.

57. ზუგდიდის რაიალმასკომის განათლების განყოფილებასა და საქართველოს მწერალთა კავშირის წევრს – შალვა დადიანს შორის დადებული ხელშეკრულება, უტუ მიქაგას ხელმძღვანელობით სამეცნიეროს 1857 წლის გლეხთა აჯანყების თემაზე მხატვრული ნაწარმოების შექმნასთან დაკავშირებით.

1934 წ. 30 ივნისი. ნაბეჭდი. 2 ფ. (2 ეგზ.).

58. შ. დადიანის პირადი ფურცელი.

1934 წ. 5 ივნისი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 4 ფ.

59. საქართველოს სსრ სარეწაო კომპერაციის კავშირის პრეზიდიუმსა და დრამატურგ შ. დადიანს შორის დადებული ხელშეკრულება, კომპერაციის საქმიანობისა და ცხოვრების ამსახველი მაღალიღეური პიესის დაწერასთან დაკავშირებით.

1934 წ. 9 აგვისტო. ნაბეჭდი. ხელს აწერებ: ა. კალანდაძე და შ. დადიანი. 2 ფ.

60. კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დირექტორსა და დრამატურგ შ. დადიანს შორის დადებული ხელშეკრულება, თეატრისთვის ი. ჭავჭავაძის მიხედვით პიესის „ჩატებილი ხიდი“ დაწერასთან დაკავშირებით.

1934 წ. 26 ნოემბერი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: შ. დადიანი და პ. დადვაძე. 1 ფ.

61. საქ. ფოთის ქალაქეომის მდინარეობის – კ. კვერნაძისა და ლიტ. კაბინეტის გამგის – რ. ქორქიას წერილი შ. დადიანისადმი, თხოვენ ლიტერატურული კორესპონდეციის გადაგზავნას გაზეთისათვის – „ფოთის მუშა“.

1934 წ. 22 დეკემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: კ. კვერნაძე და ლიტ. კაბინეტის გამგი – რ. ქორქია. 1 ფ.

62. სსსრ. განათლების სახალხო კომისარიატის უწყება შ. დადიანისადმი, ენის ნორმათა კომისიის სხდომის დანიშვნის შესახებ.

1934 წ. ხელნაწერი. ნაბეჭდი. მელანი. 1 ფ.

63. ქუთაისის პროფსაბჭოს მ/ც საჩვენებელი პლაზის რეკისორის – ჭეიშვილის წერილი განსახვომის უფროსისადმი, შ. დადიანის პიესების – „საქარის ქედი“ და „მზის ამოსვლამდე“ დადგმის შესახებ.

1935 წ. 23 მარტი. ბლანკი. ნაბეჭდი. 1 ფ.

64. გაზეთის – „კომუნისტი“ რედაქტორის ნ. კიკნაძის წერილი შ. დადიანისადმი, იწვევს რედაქციაში თათბირზე დასასწრებად და სამუშაოდ გაზეთის „ლიტერატურულ-ენობრივი ხარისხის გამაუმჯობესებელ ღონისძიებათა განსახორციელებლად და შესამუშავებლად“. 1935 წ. 14 ივნისი. ტიტულიანი ფურცელი. ნაბეჭდი. 1 ფ.

65. ოქმი №10. საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირის დრამატურგთა სექციის ბიუროს სხდომა; სხდომის თავმჯდომარე შალვა დადიანი, მდივანი შ. ალხაზიშვილი.

1. „გოს. ლიტ. გაზება“-სა და ვახტაგოვის სახ. თეატრის მიმართვების საფუძველზე მათდამი გასაგზავნი ქართული პიესების განხილვის შესახებ;

2. დრამსექციასთან კინო-ქვესექციის ჩამოყალიბების შესახებ;

3. კინორეჟისორ დრონდელის განცხადების განხილვა, ფინანსურ დახმარებასთან დაკავშირებით.

1935 წ. 28 ივნისი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: თავმჯდომარე – შ. დადიანი, მდივანი – შ. ალხაზიშვილი. 2 ფ.

66. „კოლხიდმშენის“-ს დირექციასა და შ. დადიანს შორის დადებული ხელშეკრულება, კოლხეთის შესახებ ახალი ცხოვრების ამსახველი რომანის დაწერასთან დაკავშირებით.

1935 წ. 1 ივლისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ხელს აწერენ: ბ. გოგია და შ. დადიანი. 2 ფ.

67. შ. დადიანსა და ქართული დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის ლექსიკოლოგიური განყოფილების მდივანს – ა. ნეიმანს შორის დადებული ხელშეკრულება, ისტორიული რომანის – „ურდუმი“ რუსულ ენაზე თარგმნასთან დაკავშირებით.

1935 წ. 20 აგვისტო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

68. აჭარისტანის სახალხო კომისარიატსა და საქართველოს საბჭოთა მწერალთა დრამსექციის შორის დადებული ხელშეკრულება, აჭარისტანის ცხოვრების ამსახველი პიესების დაწერასთან დაკავშირებით.

1935 წ. 8 სექტემბერი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ხელს აწერენ: შ. დადიანი, ი. ვაკელი და გ. ბააზოვი. 2 გვ. 2 ფ.

69. ქურნალის – „თეატრი და დრამატურგია“ რედაქტორის თანაშემწის – ლუჩანსკის ბოდიშის წერილი შ. დადიანისადმი, შ. დადიანის პიესის დაგვიანებით გადაგზავნის გამო, ქურნალის საიუბილეოს ნომერში გამოუქვეყნებლობასთან დაკავშირებით.

1936 წ. 7 იანვარი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

70. ერთჯერადი საშვი შ. დადიანის სახელზე მოსკოვის სახელმწიფო სამხატვრო თეატრის სპექტაკლზე დასასწრებად (MXAT-2).

1936 წ. 11 იანვარი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

71. ურნალის – „თეატრი და დრამატურგია“ რედაქტორის თანაშემწის – ლუნაჩარსკის წერილი შ. დადიანისადმი, რედაქცია სთხოვს შ. დადიანს რუსულ ენაზე თარგმნილ მის პირსას – „პუშკინი საქართველოში“, ა. პუშკინის შემოქმედებისადმი მიძღვნილ სპეციალურ ნომერში დასახელდად.

პირი: ა. ნ. აფინოგენოვი.

1936 წ. 17 ობერვალი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

72. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მიერ გაცემული მოწმობა შალვა დადიანის სახელზე, მისი ქ. ბათუმში, ჭიათურაში, წულუკიძესა და მახარაძეში მივლინებასთან დაკავშირებით.

1936 წ. 23 სექტემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. 1 ფ.

73. ბელორუსის სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორის – ბრენჯიზინის წერილი შ. დადიანისადმი, შ. დადიანის რომანის – „ურდუმი“ თარგმნასთან დაკავშირებით.

1936 წ. 11 ოქტომბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

74. ურნალის – „ოგონიოკი“ რედაქტორის მოადგილის, ზოზულიას წერილი შ. დადიანისადმი, რედაქცია სთხოვს შ. დადიანს მისი პიესიდან – „პუშკინი საქართველოში“ ერთ რომელიმე მონაცემთს ა. ს. პუშკინის საიუბილეო ნომრისთვის.

1936 წ. 9 ნოემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

75. ბაქოს მუშათა დრამატული თეატრის დირექტორის – ლუნაჩარსკის წერილი შ. დადიანისადმი, სარეპეტიციო დროის სიმცირის გამო შ. დადიანის პიესის – „პუშკინი საქართველოში“ დადგმის ჩაშლის შესახებ.

1937 წ. 4 ობერვალი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

76. მწერალთა კავშირის გამომცემლობასა – „ფედერაცია“ და შალვა დადიანს შორის დადებული ხელშეკრულება, მისი ნაწერების – „პირველი წიგნის“ დაბეჭდასთან დაკავშირებით.

1937 წ. 25 ობერვალი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერს: რაუდენ გვეტაძე და შ. დადიანი. 1 ფ.

77. შ. დადიანის სახელზე გაცემული მოწმობა სსრ სახეომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მიერ, მისი მოსკოვში, შემოქმედებით მივლინებაში გამგზავრების დაკავშირებით.

1937 წ. 3 მაისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: ა. თათარაშვილი, ვ. ბოკუჩავა, ბ. ფადავა. რუსულ ენაზე. 2 ფ.

78. საქართველოს „სახეინმრეწვის“ დირექციასა და დრამატურგ შ. დადიანს შორის დადებული ხელშეკრულება, პიესის – „ნაპერწყლიდან“ ეკრანიზაციასთან დაკავშირებით.

1937 წ. 7 ივნისი. ნაბეჭდი. ბეჭედის ბეჭედის ხელს აწერენ: „სახეინმრეწვის“ დირექტორი – თითბერიძე და დრამატურგი შ. დადიანი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

79. კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დირექციასა და შალვა დადიანს შორის დადებული ხელშეკრულება, ლ. ბერიას მოხსენების საფუძველზე პიესის დაწერასთან დაკავშირებით.

1937 წ. 15 ნოემბერი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: დ. ანთაძე და შ. დადიანი. 1 ფ.

80. ა.ს. პუშკინის სახ. სახელმწიფო დრამის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის – ვ. ფ. ფეოდოროვის წერილი შ. დადიანის სახელზე, სთხოვს პიესის – „ნაპერწყლიდან“ ორიგინალს სათარგმნელად.

1937 წ. 14 ოქტომბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

81. შ. დადიანის სახელზე გამოწერილი საშვი, სრულიად საქართველოს საბჭოების საგანგებო VII ყრილობაზე დასასწრებად.

1937 წ. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე.

82. გამომცემლობის – „Худ Литература“ რედაქციის წერილი შ. დადიანისადმი, იწვევნ მწერალთა კავშირის პლენუმის შემაჯამებელ სხდომაზე, აგრეთვე შ. რუსთაველის შემოქმედებისადმი მიძღვნილ სადამოზე (მომხსენებელი გოლცევა).

1938 წ. 15 იანვარი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

83. გერმანის ცენტრალური გაზეთის – „ДЦЦ“ რედაქციის მოსაწვევი ბარათი შ. დადიანისადმი, უმაღლეს საბჭოს დეპუტატთან შეხვედრასთან დაკავშირებით. ერთგის თარგმანი რუსულ ენაზე.

1938 წ. 16 იანვარი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ და გერმანულ ენებზე. 2 ფ.

84. რედაქციის – „ლიტ. გაზება“ წერილი შ. დადიანისადმი, იწვევენ უმაღლეს საბჭოს დეპუტატ მწერლებთან შეხვედრაზე.

1938 წ. 16 იანვარი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერს: რედაქციის თანაშემწე – ო. ვოიტინსკაია. რუსულ ენაზე. 1 ფ.

85. საქართველოს გამოცემლობის – “Заря Востока” მთავარ რედაქტორს, კოვშოვსა და დრამატურგ შ. დადიანს მორის დადებული ხელშეკრულება, მისი პიესის – „პუშკინი საქართველოში“ გამოცემასთან დაკავშირებით.

1938 წ. 24 იანვარი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ხელს აწერენ: შ. დადიანი და კოვშოვი. 2 ფ.

86. მოსკოვის ოპერეტის თეატრის დირექტორის წერილი (მდივანი ლიტოვკინა) შ. დადიანისადმი, უგზავნიან პიესის – „მოლა ნასრედინი“ 3 ეგზემლარს.

1938 წ. 4 თებერვალი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

87. ხელშეკრულება. დადებული შალვა დადიანსა და მოსკოვის ოპერეტის თეატრის დირექციას შორის, მუსიკალური კომედიის თეატრისათვის პიესისთვის – „მოლა ნასრედინი“ პროაუდი ტექსტისა და ლექსების დაწერასთან დაკავშირებით.

1938 წ. 3 თებერვალი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ხელს აწერს დირექტორი – გორლიშკოვი. 1 ფ.

88. თბილისის კინოსტუდიის დირექტორის – გოგიშვილისა და სასცენო განყოფილების გამგის მოაღილის – გიგოლაშვილის წერილი შ. დადიანის (ასლი ლ. ქიაჩელის). 1938-1939 წლებში გადასაღები კინოფილმების თემატური გეგმის შეცვლასთან დაკავშირებით და მათი ერთობლივი სცენარის – „უტუ მიქავა“ გადაღების შესახებ.

1938 წ. 22 აპრილი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: გოგოლაშვილი და გოგიშვილი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 გვ.

89. შ. დადიანის სახელზე გაცემული საშვი, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით გამართულ მიტინგზე დასასწრებასთან დაკავშირებით (საქ. შსსკ „НКВД“).

1938 წ. 7 მაისი. ნაბეჭდი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

90. საქართველოს კინოსტუდიის სასცენარო განყოფილების უფროსს, შ. დადიანსა და რ. ქორქიას შორის დადებული ხელშეკრულება, კინოფილმისთვის „ქვაკუთხედი“ სცენარის დაწერასთან დაკავშირებით.

1938 წ. 25 მაისი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: შ. დადიანი, რ. ქორქია და სასცენარო განყოფილების გამგე – ვ. კარსანიძე. უკანა გვერდზე შ. დადიანის მინაწერები – ფინანსური დაანგარიშება. რუსულ ენაზე. 1 ფ.

91. ვლ. კარსანიძეს, ნ. შენგავლაის, შ. დადიანსა და ლ. ქიაჩელს შორის დადებული ხელშეკრულება, კინოფილმისთვის – „ჩვენ გავიმარჯვებოთ!“ სცენარის დაწერასთან დაკავშირებით.

1938 წ. 4 ივნისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

92. შ. დადიანის სახელზე გაცემული საშვი, ამხ. კოსარევის სახელობის ცენტრალურ აეროკლუბში ავიაციის დღესთან დაკავშირებით გამართულ დონისძიებაზე დასწრებასთან დაკავშირებით.

1938 წ. 8 გვისტო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

93. ჯანდაცვის სახალხო კომიტეტთან არსებული ბიბლიოთეკის ყოფილი გამგის – ალ. ნიკოლაიშვილის განცხადება (მიმართვა) სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატ შალვა დადიანისადმი, დეპუტატს სთხოვს თანაღომას გაუგებრობაში გარკვევისთვის და სამსახურში კანონიერი უფლებების აღდგენასთან დაკავშირებით.

1938 წ. 1 სექტემბერი. ნაბეჭდი. ქართულ და რუსულ ენებზე. 6 ფ.

94. გამომცემლობის – „ლიტ გავეთა“ პასუხისმგებელი რედაქტორის თანამშემწის – ო. ვოიტინსკის წერილი შ. დადიანისადმი, ო. ჩეეძის მიერ თარგმნილი შ. დადიანის რომანის ნაწყვეტის მათ გაზეთში დაბეჭდვასთან დაკავშირებით, აგრეთვე საბჭოთა ლიტერატურის პატრიოტიზმზე სტატიის დაწერას.

1938 წ. 5 სექტემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

95. ვახტანგოვის სახელობის თეატრის დირექტორის – ვანეევას წერილი შალვა დადიანისადმი, ეხება პიესას – „ნაპერწკლიდან“ და ბოლიშს უხდის, რომ პიესა ვერ ჩასვა რეპერტუარში. მიზეზად ასახელებეს ა. ტოლსტიოს მიერ ი. ბ. სტალინის შესახებ შეკვეთით დაწერილ პიესას, რაზეც თეატრი უკვე მუშაობს.

1938 წ. 16 სექტემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

96. ბრძანება № 457 ხელოვნების საქმეთა სამმართველოსადმი, საქართველოს სათეატრო მუზეუმის მიერ მოწეობილი გამოფენის – „ქართული ხალხური სანახაობანი“ შესამოწმებლად, ხარისხის შესაფასებლად და მუზეუმისთვის გადასაცემად.

პირი: ლ. ესაკია – თავმჯდომარე, ელიგულაშვილი – მდივანი, სათეატრო მუზეუმის დირექტორი, შ. დადიანი – მუზეუმის სამეცნიერო-საკვლევი სექციის თავმჯდომარე, ა. ვასაძე – რეჟისორი, გ. ბუხნიკაშვილი /მეტეხი/.

1938 წ. 21 სექტემბერი. ბეჭედდასტული. ნაბეჭდი. ხელს აწერს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი – ლ. ესაკია. 1 ფ.

97. რედაქციის – „წიგნი და პროლეტარული რევოლუცია“ წერილი შალვა დადიანისადმი, სოხოვენ სტატიის დაწერას უკრნალისთვის, თუ როგორ მუშაობს იგი თავის წიგნზე – „ლადო კეცხოველი“ შესახებ.

1938 წ. 10 ნოემბერი. ბლანკი. ხელნაწერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

98. თბილისის კინო სტუდიის დირექტორის – გიგოშვილისა და სასცენო განყოფილების გამგის – კარსანიზის წერილი შ. დადიანისა და როდიონ ქორქიას ფილმისთვის – „ქვაკუთხედი“, მათი ერთობლივად დაწერილი კინოსცენარის დაწესებასთან დაკავშირებით.

1938 წ. 3 დეკემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერებ: გიგოშვილი და კარსანიძე ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ფ.

99. შალვა დადიანის სახელზე გაცემული საშვი, ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის 21 წლის ზემზე დასასწრებად.

1938 წ. ნაბეჭდი. რუსულ და ქართულ ენებზე. 1 ც.

100. შალვა დადიანის სახელზე გაცემული საშვი, ქ. თბილისში სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებთან დაკავშირებით გამართულ მიტინგზე დასასწრებად.

1938 წ. ხელნაწერი. ნაბეჭდი. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

101. სამხატვრო-საწარმოო კომინატის გამომცემლობის სექტორის დირექტორის – ქ. თენერიშვილის წერილი შ. დადიანისადმი, ტ. შეგჩენკოს საიუბილეოს დღესთან დაკავშირებით სოხოვს იკისროს კ/კ რედაქტორობა.

1939 წ. 3 იანვარი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერს – ქ. თენერიშვილი. 1 ფ.

102. ქ. თბილისში არსებული უკრაინის დრამატული თეატრის კოლექტივის განცხადება შალვა დადიანისადმი, ტ. შეგჩენკოს იუბილეში მონაწილეობასთან მიღებასთან დაკავშირებით.

1939 წ. 24 იანვარი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

103. გამომცემლობის – „Дружба Народов“ რედაქციის ა. ლევევის თანამშრომლობის წერილი შალვა დადიანისადმი, იწუნებს შ. დადიანის შ. რუსთაველისადმი მიძღვნილი მოთხოვნების ნ. ჩეეძისეული თარგმანს. სოხოვს უკეთესი თარგმანის გადაგზავნას. აგრეთვე, ულოცავს შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილეს.

1939 წ. 28 იანვარი. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

104. საქართველოს მწერალთა კავშირის მიერ შ. დადიანის სახელზე გაცემული მოწმობა, მოსკოვში მივლინებით გამგზავრებასთან დაკავშირებით.

1939 წ. 8 ოქტომბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

105. ყაზბეგის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარის – ნიკო ინაშვილის წერილი შალვა დადიანისა და ელისაბედაშვილისადმი, სრუ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს სთხოვს სკოლის, კლუბის, სასტუმროსა დას. ოფ. შიონის მექანიკური წერილის ქარხნის მშენებლობისათვის საჭირო თანხების დროულად ჩარიცხვას (უკანა გვერდზე ჩამოწერილია შ. დადიანის საქმიანობის გეგმა).

1939 წ. 13 თებერვალი. ნაბეჭდი. 2 ფ.

106. შ. დადიანის სახელზე გაცემული მოწმობა საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირის მიერ, ქ. კიევში საბჭოთა მწერლების საკავშირო პლენუმზე და პოეტ ტარას შეეჩენკოს იუბილეზე დასწრებასთან დაპავშირებთ.

1939 წ. 28 აპრილი. ბეჭედდასმული. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერს: საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი – ალიო მაშაშვილი, საქმეთა მმართველი – ირ. ქავარაძე. რუსულ ენაზე. 1 ფ.

107. სათეატრო მუზეუმის დირექტორის – გ. ბუხნიკაშვილის წერილი (მიწვევა) შ. დადიანისადმი, საქ. სათეატრო მუზეუმის საბჭოს წევრად არჩევასთან და სხდომაზე დასწრებასთან დაკავშირებით.

1939 წ. 7 მაისი. ნაბეჭდი. 1 ფ.

108. გამომცემლობის – „ისკუსტვა“ რედაქტორის – ლ. ცინოვსკის მადლობის წერილი შ. დადიანისადმი, თხზულებათა კრებულისათვის ინფორმაციული ხასიათის მასალის მიწოდებასთან დაკავშირებით. წერილში საუბარია პიესებზე – „რუსთაველი“ არგოს ნათარგმნი, „თეონულდი“ ა. ი. ყანხელის ნათარგმნი და ამ პიესების ირგვლივ სსრკ მაშტაბით თეატრებში დადგმასა და მთავარი სარეპერტუარო კომიტეტის მხრიდან თანხმობის შესახებ.

1939 წ. 13 ივნისი. ნაბეჭდი. ბლანკი. ხელს აწერს: რედაქტორი – ცინოვსკი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

109. ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის – აბაევის წერილი სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატ შ. დადიანისადმი, სთხოვს მუზეუმის შემდგომი კეთილმოწყობისა და მწერალ ალ. ყაზბეგის კაბინეტისთვის საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატთან უშუამდგომლოს 75000 მანეთის დოტაციის გამოსაყოფად (შ. დადიანის მინაწერით: წერილი განსახილველად განათლების კომისარიატისადმი გადასაცემად).

1939 წ. 26 ივნისი. ბეჭედდასმული. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

110. გამომცემლობის – „ისკუსტვა“ რედაქტორის ლ. ცინოვსკის წერილი შ. დადიანისადმი, შ. აფხაზის მიერ დაწერილ მონოგრაფიისა და ამს. ზალევსკის ამავე მონოგრაფიის რედაქტორობით გაგზავნასთან დაკავშირებით (ამ მონოგრაფიაში არ არის ნახსენები პიესა „თეონულდი“ და „რუსთაველი“. ლ. ცინოვსკი უგზავნის ორ მცირე, დამატებით სტატიას ამ პიესებზე).

1939 წ. 1 ივლისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერს რედაქტ: ცინოვსკი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

111. თბილისის მუსიკალური სკოლის გამგის – პროფესორ ნ. რიადნოვას განცხადება, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატ შ. დადიანისადმი, ხელოვნების საქმეთა სამმართველოში მისი სამსახურიდან გათავისუფლების საკითხის დაექნებას დაკავშირებით (ნ. რიადნოვა აღნიშნავს თავის მრავალრიცხოვან დამსახურებებს ქართული კულტურის, კურძოდ კი სამუსიკ სტუდიის დაარსებისა და მისი შემდგომი წარმატებული მუშაობის საქმეში).

პირი: კანდელაკი, ს. იაშვილი, რობიტაშვილი, ქ. კილაძე, დ. ქავთარაძე, ი. სტალინი.

1939 წ. 15 აგვისტო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 3 ფ.

112. გამომცემლობა – „ახალგაზრდა გვარდია“-სა და შ. დადიანს შორის დადებული ხელშეკრულება, მისი პიესის – „ლადო კეცხოველი“ დაბეჭდვასთან დაკავშირებით.

1939 წ. 26 აგვისტო. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერს მდივანი ჩირკასოვა. რუსულ ენაზე. 1 ფ.

113. შ. დადიანის სახელზე გაცემული მანდატი, სრულიად საქ. საბჭოთა მწერალთა II ურილობაზე დასასწრებად. დღის წერილი: საანგარიშო მოხსენება საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირის მუშაობის შესახებ.

1939 წ. 25 სექტემბერი. ნაბეჭდი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

114. ქურნალის – „ოგონიოკი“ რედაქციის წერილი შალვა დადიანისადმი, სთხოვენ დაწეროს სტატია სათაურით – „სტალინის სახე ქართულ ლიტერატურაში“. 1939 წ. 26 სექტემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერს: ქურნალის სარედაქტო. პოლგბის წევრი – შამორიკოვი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

115. შ. დადიანის ბიოგრაფიული ცნობები.

1939 წ. 1 ოქტომბერი. ავტოგრაფი. მელანი. 1 ფ.

116. სტალინის კულტურის სახლის დირექტორის – ხ. პლიევის წერილი შალვა დადიანისადმი, უგზავნიან მოთხოვას „მთიელი ოსების ყოფა“ და სტატიას „კოხტა ლექსის და მხატვრული სიტყვის ოსტატი“. 1939 წ. 15 ოქტომბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერს: ხ. პლიევი. რუსულ და ოსურ ენებზე. 1 ფ.

117. პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობის რედაქციის თანამშრომელთა – ა. ბალშემენიკოვისა და ა. ფადავევის წერილი შ. დადიანისადმი, ი. ბ. სტალინის დაბადების 60 წლის იუბილესთვის მოგონებების დაწერასთან დაკავშირებით (შ. დადიანის მინაწერი: „პასუხი გაცემულია, ფადავევს ველაპარაკე“). 1939 წ. 17 ოქტომბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ფ.

118. შ. ჩარგვიანის მიმართვა საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის პარტიული მდივნის – ირაკლი აბაშიძისადმი, შალვა დადიანის შემოქმედებითი სადამოს ჩატარებასთან დაკავშირებით.

1939 წ. 19 ოქტომბერი. ხელნაწერი. შტამპი. მელანი. ხელს აწერენ: მწერალთა კავშირის პ/მგ. მდივანი დ. კვირკველია და საქმეთა მმართველი შ. ჩარგვიანი. 1 ფ.

119. სახელმწიფო გამომცემლობის – „Художественая Литература“ დირექტორის პ. ჩაგინის წერილი შალვა დადიანისადმი, აკ. წერეთლის საიუბილეო კრებულისთვის შესავალი სტატიის დაწერასთან დაკავშირებით.

1939 წ. 21 ნოემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

120. ქ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის I კურსის სტუდენტის – გივი გრიგოლიას განცხადება სსრკ უმაღლესი საბჭოს დეკუტატ შალვა დადიანისადმი, ლექციებზე დაშვებასთან დაკავშირებით.

1939 წ. 30 ნოემბერი. ხელნაწერი. მელანი. 1 ფ.

121. ალგე გამომცემლობის – „ახალგაზრდა გვარდია“ რედაქციის წერილი შალვა დადიანისადმი, მისი თხზულების „ლადო კეცხველი“ ხელნაწერის მიწოდებასთან დაკავშირებით.

1939 წ. 26 დეკემბერი. ნაბეჭდი. ბლანკი. ხელს აწერს რედაქციის ხელმძღვანელი – კოვარსკაია. რუსულ ენაზე. 1 ფ.

122. ხელშეკრულება. დადებული შ. დადიანსა და სსრკ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმთა კომიტეტს შორის, საბაგშვი პიესის – „მზეთუნახაბია“ დაწერასთან დაკავშირებით.

1939 წ. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ხელს აწერს – ვერიშაგოვი. რუსულ ენაზე. 2 ფ.

123. ხელშეკრულება. დადებული მწერალთა კავშირის გამომცემლობა – „გვდერაცია“-სა და შ. დადიანს შორის, მისი თხზულების 6 ტომად გამოცემასთან დაკავშირებით.

1939 წ. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: შ. დადიანი და რ. გვეტაძე. 1 ფ.

124. შალვა დადიანის სახლზე გაცემული საშვი.

1939 წ. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 3 ც.

125. სახ. გამომცემლობასთან – „ხელოვნება“ არსებული თეატრისა და დრამატურგიის განყოფილების გამგის – ლოგიონვისა და რედაქტორის – ცინოვსკის წერილი შ. დადიანისადმი, უგზავნიან პროფესორ დ. ბლაგოის რეცენზიას სათაურით: „Отзыv на пьесу Ш. Дадиана „Пушкин в Грузии““.

1939 წ. ნაბეჭდი. ხელს აწერს: ლოგიონვა და ცინოვსკი. რუსულ ენაზე. 3 ფ.

126. საქართველოს შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის დირექციის წერილი შ. დადიანისადმი. „ზემდგომი ორგანოების“ მიერ ინსტიტუტის საბჭოს წევრად დამტკიცების შესახებ.

1940 წ. 14 იანვარი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. ხელს აწერენ: აკ. ხორავა (დირექტორი) და პ. ადამიძე (მდივანი). 1 ფ.

127. უურნალის – „ლიტერატურის მატიანე“ პ/რედაქციის, გ. ლეონიძის წერილი შალვა დადიანისადმი, უურნალის საიუბილეო ნომრისთვის აკაკი წერეთლის შესახებ მოგონებების დაწერასთან დაკავშირებით.

1940 წ. 29 თებერვალი. ბლანკი. ნაბეჭდი. გ. ლეონიძის ხელმოწერით. 1 ფ.

128. აფხაზეთის მწერალთა კავშირის პ/ მდივანის – გ. გულიას მადლობის ბარათი ქართულ-აფხაზური ლიტერატურული ურთიერთობების შემდგომ განმტკიცებასთან დაკავშირებით. მადლობას უცხადებენ: შ. დადიანს, ლ. ქიაჩელს, ს. ეულს, ბ. უდენტს, კ. კალაძეს, პოლუმორდვინვასა, გომიაშვილს.

1940 წ. 20 მარტი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

129. შ. დადიანის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.

1940 წ. 2 აპრილი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 2 ფ.

130. ალპა გამომცემლობის – „ახალგაზრდა გვარდია“ რედაქციის წერილი შ. დადიანისადმი, მისი თხზულების – „ლადო კეცხოველი“ ხელნაწერის დროულად მიწოდებასთან დაკავშირებით.

1940 წ. 9 აპრილი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერს რედაქციის ხელმძღვანელი – კოვარსკაია. რუსულ ენაზე. 1 ფ.

131. შ. დადიანის სახელზე გაცემული საშვი, ლ. ბერაიას სახელობის მოედანზე გამართულ საპირველმასო დემონსტრაციაზე დასასწრებასთან დაკავშირებით.

1940 წ. 1 მაისი. ნაბეჭდი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

132. სოფელ ჭილურტის – „პარიზის კომუნა“ სახელობის კოლმეურნეობის განცხადება საკავშირო უმაღლეს საბჭოს დეპუტატ შ. დადიანისადმი, ამომრჩეველთათვის საყოფაცხოვრებო დახმარების გაწევასთან დაკავშირებით.

1940 წ. 25 მაისი. ხელნაწერი. მელანი. 1 ფ.

133. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს (სამმ. უფროსი ბ. გოგუა), შ. დადიანსა და შ. აღსაბაძეს შორის დადებული ხელშეკრულება, ოპერის – „უშიშარი რაინდი“ ლიბრეტოს შეძენასთან დაკავშირებით.

1940 წ. 25 მაისი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: ბ. გოგუა, შ. დადიანი, შ. აღსაბაძე. 1 ფ.

134. ეპ. იმედაშვილის განცხადება უმაღლესი საბჭოს დეპუტატ – შ. ნ. დადიანისადმი, სითხოეს დახმარებას თავისი დაპატიმრებული, ავადმყოფი შვილიშვილისათვის.

1940 წ. 30 მაისი. ხელნაწერი. მელანი. 1 ფ.

135. სახელმწიფო გამომცემლობის „Художественная литература“ რედაქტორის – პ. ჩაგინის წერილი შ. დადიანისადმი, უგზავნის აკაკი წერეთლის თხზულებათა 2 წიგნს: „ა. წერეთლის რჩეული“ და „ჩემი თავგადასავალი“.

1940 წ. 11 ივნისი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

136. კინომატოგრაფიის საპავშირო კომიტეტის სასცენარო განყოფილების უფროსის – ჩერნიაგვასკის წერილი შ. დადიანისადმი, კომედიური კინოსცენარების საკავშირო კონკურსში მონაწილეობის თაობაზე.

1940 წ. 22 ივნისი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

137. გამომცემლობა „ხელოვნება“-სა და შალვა დადიანს შორის დადგბული ხელშეკრულება, „ქართული თეატრის ისტორია“ დაბეჭვდასთან დაკავშირებით.

1940 წ. 26 ივნისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. მელანი. ხელს აწერს ბილკინი. 1 ფ.

138. სელოვნების საქმეთა კომიტეტის სარეპრტუარო სექტორის თანამშრომლის – ნემჩენკოს წერილი შ. დადიანისადმი, პიესის – „გუშინდელნი“ თარგმანთან დაკავშირებით (შ. დადიანის მონაწილეობით).

1940 წ. 28 სექტემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

139. მწერალთა კავშირის გამომცემლობა „ფედერაცია“-სა და შალვა დადიანს შორის დადგებული ხელშეკრულება „გიორგი რუსი“-ს გამოცემასთან დაკავშირებით.

1940 წ. 21 ოქტომბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: რ. გვეტაქ და შ. დადიანი. 1 ფ.

140. სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს საიუბილეო კომიტეტის მიწვევის ბარათი შ. დადიანისადმი, სომხეთის გასაბჭოების 24 წლის იუბილეზე დასასწრებად.

1940 წ. 24 ნოემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

141. მოსკოვის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის დირექციის მადლობის ბარათი შ. დადიანისადმი.

1940 წ. 30 ნოემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

142. შ. დადიანისა და სსრკ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის წარმომადგენელს – ვ. ი. ხერინს შორის დადებული ხელშეკრულება, ა. წულუკიძის ცხოვრების ამსახველი პიესის – „იდეა გაიმარჯვებს“ დაწერასთან დაკავშირებით.

1941 წ. 15 იანვარი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ბეჭედდასმული. ხელს აწერენ: შ. დადიანი და ვერიშაგოვი. 3 გვ. 3 ფ.

143. გამომცემლობის – „Художественная Литература“ დირექტორის – ნ. ჩაგინის წერილი შ. დადიანისადმი, მ. გორსკის გარდაცვალებიდან 5 წლისთვისადმი მიძღვნილი კრებულისთვის მოგონებების გადაგზავნის შესახებ.

1941 წ. 27 მარტი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

144. შ. დადიანისა და თბილისის კინოსტუდიას შორის დადებული ხელშეკრულება, კიოფილმში – „В черниах горах“ სტეფანეს როლის შესრულებასთან დაკავშირებით.

1941 წ. 6 აგვისტო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ბეჭედდასმული. ხელს აწერენ: შ. დადიანი და ვ. ჭიჭინაძე. 1 ფ.

145. შ. დადიანის განცხადება სსრ სახომსაბჭოს თვმჯდომარის სახელზე, სოხოვს შეამდგომლობას დუშეთის რაიონის კოლმეურნეებისთვის პურის ხორბლის ნადღ ნგარიშზე მიცემასთან.

1941 წ. ავტოგრაფი. მელანი. 1 ფ.

146. შ. დადიანის ხელნაწერი, ნადეჟდა დადიანისთვის ყოველთვიურად 500 მანეთის გადახდის შესახებ.

1942 წ. 26 აგვისტო. ნაბეჭდი. 1 ფ.

147. რუსთაველის თეატრის დირექციისა (დირექტორი პ. ლ. მურლულია) და დრამატურგ შ. დადიანს შორის დადებული ხელშეკრულება, ისტორიული პიესის – „უტუ მიქავა“ დაწერასთან დაკავშირებით.

1942 წ. 2 სეტემბერი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ხელს აწერს დირექტორი პ. ლ. მურლულია. 1 ფ.

148. სახელმწიფო დაზღვევის თბილისის ქალაქის სამმართველოს უფროსს – ნ. გ. კობალაძესა და დრამატურგ შ. დადიანს შორის დადებული ხელშეკრულება, სახელმწიფო დაზღვევის მიზნებისა და სარგებლიანობის სააგიტაციო თემაზე რაიმე კომედიური ქანრის მაღალმხატვრული პიესის დაწერასთან დაკავშირებით.

1942 წ. 25 ნოემბერი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ხელს აწერენ: ნ. კობალაძე და დრამატურგი შ. დადიანი. 1 ფ.

149. „სია იმ ნივთებისა, რომელიც გადაეცა შალვა ნიკოლოზის ქე დადიანს საერთო ოჯახიდან“.

1942 წ. ხელნაწერი. ფანქარი. 1 ფ.

150. ოქსოველის თეატრის დირექციასა (დირექტორი პ. ლ. მურდულია) და დრამატურგ შ. დადიანს შორის დადებული ხელშეკრულება, თანამედროვე ცხოვრების ამსახველი ახალი პიესის – კომედია „ზოგი-ზოგი“ დაწერასთან დაკავშირებით.

1943 წ. 15 იანვარი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ხელს აწერენ: შ. დადიანი და პ. ლ. მურდულია. 1 ფ.

151. კინოსტუდიის სასცენარო განყოფილების გამგეს (აკ. ბელიაშვილი), ვ. კარსანიძე და შ. დადიანს შორის დადებული ხელშეკრულება კინოფილმისთვის – „Мертвая нефть“ სცენარის დაწერის შესახებ.

1943 წ. 20 თებერვალი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ხელს აწერენ: ვ. კარსანიძე, აკ. ბელიაშვილი და შ. დადიანი. რუსულ ენაზე. 2 ფ.

152. ხელოვნ. საქმეთა სამმართველოსა და შ. დადიანს შორის დადებული ხელშეკრულება დრამატული ნაწარმოების – „შარავანდედი“ დაწერასთან დაკავშირებით.

1943 წ. 18 ოქტომბერი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ხელს აწერს პ. კადელაკი. 1 ფ.

153. შ. დადიანი ნაწერები – „ჩემი შემოსავალი“.

1944 წ. 1 იანვარი. ავტოგრაფი. 3 ფ.

154. დეპუტატ შალვა დადიანის სახელზე გაცემული საშვი, სსრკ უმაღლესი საბჭოს სხდომაზე დასასწრებად.

1944 წ. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

155. შ. დადიანის სახელზე გაცემული საშვი, მოსკოვის წითელ მოედანზე მშრომელთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ჩატარებულ აღლუმზე დასასწრებად.

1945 წ. 1 მაისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

156. შ. დადიანისა და ქუთაისის სახელმწიფო თეატრის დირექციას (დირექტორი და სამხ. ხელმძღვანელი დ. ანთაძე) შორის დადებული ხელშეკრულება, პიესის – „საშა წულუკიძე“ დაწერასთან დაკავშირები.

1945 წ. 3 ივნისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ბეჭედდასმული. ხელს აწერენ: შ. დადიანი და ქუთაისის თეატრის დირექტორი – დ. ანთაძე. 2 ფ.

157. შ. დადიანის შუამდგომლობის ბარათი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისადმი, ამხ. გ. თ. და მ. სიგუას შეწყალების შესახებ.

1945 წ. 4 ივნისი. ავტოგრაფი. მელანი. 1 ფ.

158. შ. დადიანის მიმართვა საქ. კაცკას მდივნისადმი პროპაგანდის დარგში, „ორიოდე წინადაღება საქართველოს გასაბჭოოების 25 წლისთავთან დაკავშირებით“ – თბილისში ლიტ. ინსტიტუტისა და მოსკოვში „ქართული კულტურის სახლის“ დაარსებასთან დაკავშირებით“.

1945 წ. 1 სექტემბერი. ავტოგრაფი. მელანი. 1 ფ.

159. შ. დადიანის სახელზე გაცემული მანდატე, საქართველოს თეატრალური საზოგადოების წევრთა 1 ყრილობაზე დასასწრებად.

1945 წ. 17 ღეკემბერი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ხელს აწერს: აკ. ხორავა და ს. გერსამია. 1 ც.

160. შ. დადიანის ჩანაწერები „ჩემი შემოსავალი“.

1945 წ. ავტოგრაფი. ფანქარი. მელანი. 2 ფ.

161. შ. დადიანის „დელეგატის ბილეთი“ – საშვი სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების წევრთა შეკრებაზე დასასწრებად.

1946 წ. მარტი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

162. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის – ვ. ეგნატაშვილის წერილი სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატ შ. დადიანისადმი, წერილი ეხება უმაღლესი საბჭოს სესიაზე დასასწრებად მოსკოვში გამგზავრებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას.

1947 წ. 8 ოქტომბერი. ნაბეჭდი. 1 ფ.

163. შ. დადიანის წერილი-განცხადება საქ. შერ განათლების სახალხო კომისარ პ. გუბრაძესადმი, ყოველწლიური კალენდრის – „წელიწლებული“ გამოცემის შესახებ.
1947 წ. ავტოგრაფი. მელანი. ნაბეჭდი. 15 ფ.

164. შ. დადიანის პირადი ბარათი.

1950 წ. 21 დეკემბერი. დასტამბული. ნაბეჭდი. ასლი დამოწმებული დედანთან. 3 ფ.

165. შ. დადიანის შრომის წიგნაკი.

1950 წ. 25 დეკემბერი. დასტამბული. შევსებული ხელით. ქართულ და რუსულ ენებზე. 16 გვ.

166. თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის – შ. დადიანის მიმართვები მთავრობის წარმომადგენლებისადმი (დ. მჭედლიშვილს, პ. მეავანაძეს), თეატრალური საზოგადოებისთვის შენობის გადაცემის თაობაზე. ერთვის თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის მოხსენებითი ბარათი.

1950 წ. ავტოგრაფი. ნაბეჭდი. მელანი. 9 ფ.

167. სათეატრო მუზეუმის დირექტორის – გ. ბუხნიკაშვილისა და მუზეუმის სწავლული მდივნის – ს. გერსამიას მოხსენებითი ბარათი საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის – ა. ლ. გუნიას სახელზე, შ. დადიანის დაბადების 80 და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 60 წლის იუბილის აღნიშვნასთან დაკავშირებით.

1954 წ. 12 მარტი. ნაბეჭდი. 2 ფ.

168. საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის სხდომის ოქმის ამონაწერი (1954 წ. 23/X). შალვა დადიანის დაბადებიდან 80 წლის და ლიტერატურული მოღვაწეობის 60 წლის აღსანიშნავი სპეციალური კომისიის შექმნასთან დაკავშირებით.

1954 წ. 23 სექტემბერი. ნაბეჭდი. 1 ფ.

169. შ. დადიანის დაბადებიდან 80 წლის შესრულებისა და ლიტერატურულ-თეატრალური მოღვაწეობის 60 წლისთვის აღსანიშნავი სხვადასხვა საიუბილეო ღონისძიებების ჩატარებასთან დაკავშირებული სხდომის ოქმი. შ. დადიანისთვის სსრკ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით, აგრეთვე დაიგეგმა პიესების კრებულის საიუბილეოდ გამოცემა და შ. დადიანის ცხოვრების ამსახველი გამოფენის მოწყობა თეატრალურ მუზეუმში.

პირი: ირ. აბაშიძე, ს. ჭილაძა, ნ. მუსეელიშვილი, მ. ბარათაშვილი, ვ. კუპრაძე, ვ. ანჯაფარიძე, ა. გასაძე, პ. ფრანგიშვილი, ა. ხორავა, შ. დამბაშიძე.

1954 წ. 6 ოქტომბერი. ნაბეჭდი. 2 ფ.

170. კინოსტუდიის – „ქართული ფიმი“ დირექტორის გ. გიგოლაშვილის წერილი საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს ი. აბაშიძეს, შ. დადიანის დაბადებიდან 80 წლის საიუბილეო საღამოს გადაღებასთან დაკავშირებით. სოხოვს თავისუფალ აღილებს პარტერებსა და ლოჟაში გამნათებელი და ხმის ჩამწერი აპარატურის დასადგმელად.

1954 წ. 19 ოქტომბერი. ნაბეჭდი. 1 ფ.

171. შ. დადიანის დაბადების 80 წლის შესრულებისა და ლიტერატურულ-თეატრალური მოღვაწეობის 60 წლისთვის აღსანიშნავი საიუბილეო კომისიის სხდომის ოქმის ამონაწერი, შ. დადიანის იუბილისთვის დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

კრების თავმჯდომარე – ს. ჭილაძა, მდივანი – გ. ბუხნიკაშვილი.

1954 წ. 21 ოქტომბერი. ნაბეჭდი. 1 ფ.

172. მოთხოვნის ბარათები შ. დადიანის დაბადების 80 წლის საიუბილეო საღამოზე დასასწრებად, იუბილეზე დასასწრებად მოსაწვევებს ითხოვენ შემდეგი ორგანიზაციები: 1. საბჭოთა მწერლების კავშირის გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“. 2. ღიმიტროვის სახელობის ქარხნის დირექტორი; 3. „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქცია. 4. „მთავლიტი“, 5. საქ. სსრ. მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა; 6. IV მუსიკალური სასწავლებლის დირექტორი; 7. გაზეთის „საქ. კომუნისტი“ რედაქცია; 8. ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი; 9. ხალხური შემოქმედების რესაუბლივური სახლი; 10. საქართველოს თეატრალური საზოგადოება.

1954 წ. ხელნაწერი. ნაბეჭდი. ქართულ და რუსულ ენებზე. 11 ც.

173. ამონაბეჭდი მწერალთა კაგშირის სხდომების ოქმედბიდან, სტენოგრაფიული ჩანაწერები შ. დადიანის მოსხენებებისა: 1. დრამსექციის მუშაობა; 2. შ. დადიანი თეატრის ხელოვნებაზე (გამოცემულია აგრეთვე მისი პიესი – „კაკალ გულში“ განხილვა; 3. ქ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლის – „ნინოშვილის გურია“ განხილვა; 4. საქ. მწერალთა კაგშირის შემოქმ. დისეუსია „სალიტერატურო ენის შესახებ“, „სამწერლობო ენის შესახებ“; 5. რუსთაველის თეატრის შესახებ; 6. „პოსტიშევის სიტყვა და საქართველოს საბჭოთა მწერლების ამოცნები“; 7. ბააზოვის პიესის – „განურჩევლად პიროვნებისა“ და ს. თვარაძის „შლევის“ განხილვა; 8. შ. დადიანის, ი. ჭავჭავაძისა და ივ. მარაბელის საორატორო ხელოვნების შესახებ; 9. სტალინის სახე ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში; 10. „ქართული თეატრის ისტორიის“ გამოცემის შესახებ; 11. 1950 წლის მხატვრული პროზა; 12. საესტრადო ნაწარმოებების შექმნა; 13. „ქართული დრამატურგია რუსულ ენაზე“.

1959 წ. ნაბეჭდი. 133 გვ.

174. საქართველოს კულტურის სამინისტროსა და მინისტრთა სამჭოს დადგენილება – გ. ტაბიძისა და შ. დადიანის ნაწარმოებებზე საავტორო უფლებების კანონის შესახებ.

1959 წ. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ. (2 გვ.).

175. შ. დადიანის საიუბილეო კომისიის თავმჯდომარის-ირ. აბაშიძის წერილი (მიმართვა) საქართველოს ტეატრალური საზოგადოებისადმი. აცნობებს შ. დადიანის დაბადების 80 წლის საიუბილეო ღონისძიებების ჩასატარებელ ქალაქებს (ქუთაისი, ბათუმი, სოხუმი, ჭიათურა, თელავი).

უთარილო. ნაბეჭდი. 1 ფ.

176. შ. დადიანის განცხადება საქ. საბჭ. მწერლების კაგშირის სამდივნოს მისამართით. ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობის გამო ითხოვს ერთი წლით შვებულებას. უთარილო. ავტოგრაფი. ბლანკი. შავი მელანი. 1 ფ.

177. ნინო დიმიტრის ასულ ბაქრაძე-მანსვეტაშვილის წერილი-განცხადება შ. დადიანიასადმი, სთხოვს შუამდგომლობას პენსიის დანიშვნასთან დაკავშირებით. უთარილო. ხელნაწერი. მელანი. 1 ფ.

178. შ. დადიანის განცხადება მსახიობთა კაგშირის IV საზოგადო კრების თავმჯდომარის სახელზე, უარს აცხადებს მსახიობთა კაგშირის თავმჯდომარის თანამდებობაზე. უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. 2 ფ.

179. შ. დადიანის განცხადება თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის სახელზე, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. უთარილო. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

180. შ. დადიანის ავტობიოგრაფია. უთარილო. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

181. შ. დადიანის ავტობიოგრაფია: 1. სიცილიური წარმოშობა; 2. ინტელექტულადური განვითარება და განათლება; 3. საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა; 4. მუშაობა თეატრების რევოლუციამდე; 5. მუშაობა თებერბლს რევოლუციის შემდეგ საქართველოს გასაბჭოებამდე. უთარილო. ნაბეჭდი. 1 ფ.

182. „სტუდიის“ თვითმოქმედების გასაღრმავებლად და შინაური წესრიგის მოსაგვარებლად შ. დადიანის მიერ შედგენილი „უჯრედების“ სია (აღმასრულებელი ბიურო, სარეფისორო კომისია, საგამომცემლო კომისია, ტერმინოლოგიური კომისია). უთარილო. ხელნაწერი. მელანი. ფანქარი. 1 ფ.

183. შ. დადიანის განცხადება თბილისის სანოტარო კანტორისადმი, პიესის – „თეონულდი“ გადაკეთებასთან დაკავშირებით, დ. მეეროვთან დადებული ხელშეკრულების გაუქმების შესახებ.

უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

184. მოსკოვის ქართული დრამატული სტუდიის პედაგოგიური საბჭოს, კულტურის სახლის აღმინისტრაციისა და სტუდიის აღმასრულებელი ბიუროს 1925-1926 წწ. ერთობლივი სხდომების ოქმები (პიესები: „ჯაყოს ხიზნები“, „ლევანი, სამეგრელოს თავადი“), აქვე შ. დადიანის მოხსენებითი ბარათი, დრამატული სტუდიის საბჭოს მოწვევის „უწყება“, ვოლკოვის, დემიროვის, დანილევიჩის, რუდაკოვის ხელმოწერებით. სტუდიის ხელმძღვანელი შ. დადიანი. პირი: ვ. მჭედლოვი, ს. ივანოვი, ა. ზისკი, შარაშიძე, ჯავახიშვილი. უთარილო. ტუში. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 7 ფ.

185. შ. დადიანის განცხადება სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ლატარიის დირექტორისადმი, ე. ნინოშვილის – „სიმონა“ და ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას რომანის – „ბედის ტრიალის“ ეპრანიზაციასთან დაკავშირებით. უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. 3 ფ.

186. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის დირექტორის – გიორგი ლეონიძის წერილი შალვა დადიანისადმი, სთხოვს გამოვენისთვის – „აატრიოტიზმი ქართულ მწერლობაში“ სურათისა (სასურველია ფერწერული ტილო) და სამამულო ომის დღეებში დაწერილ-გამოქვეყნებული ავტოგრაფიანი წიგნების მიტანას მუზეუმში, ნინო კლდიაშვილთან. უთარილო. ნაბეჭდი. 1 ფ.

187. გაზეთის – „კომუნისტი“ რედაქტორის წერილი ცხაკაიას რაიგაზეთის რედაქციისადმი, მწერალ შ. დადიანის ცხაკაიას რაიონში მივლინების შესახებ. უთარილო. ბლანკი. ნაბეჭდი. ტიტულიან ფურცელი. 1 ფ.

188. შ. დადიანის განცხადება ქ. თბილისის ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების აღმასრულებელ კიმიტეტისადმი, ქართულ სპექტაკლთა საჩვენებლად ზუბალაშვილის სახალხო სახლში სცენის დათმობის შესახებ. უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 ფ

189. შ. დადიანის ჩანაწერები, მატერიალური ხარჯები (ჩანაწერები: „ჩემი შემოსავალი“, შავები), მატერიალური დანახარჯების სიები, „შემოსავალ-გასავლები“, „ჯამაგირები“, „გასმრჯელოები“, პიესები და სხვ. (სულ 1914 წლიდან 1941 წლის ჩათვლით). უთარილო. ავტოგრაფი. 41 ფ.

190. სსრ სახალხო კომისარიატის დადგენილება „რაბისი“-ს წევრთა პონორართან და საგტორო უფლებების დაცვის შესახებ. პირობები სარეპერტუარო ბიულეტენში მომუშავე რეზიდენტებისათვის. აქვე სატერმინოლოგო კომისიის წევრების სია და ანკეტა. უთარილო. ავტოგრაფი. ნაბეჭდი. წითელი მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. 5 ფ.

191. შ. დადიანის არქივიდან: „პირადი ანგარიშების დავთარი“. უთარილო. ხელნაწერი. მელანი. ფანქარი. 17 ფ.

192. შ. დადიანის პიესების ხარჯთაღრიცხვა ამიერკავკასიის დრამატული კომიტეტის ბლანკზე მოთავსებული ნუსხა (პიესები: „კაკალ გულში“, „თეთნულდი“, „მკლავაძის საქმე“, „არსენ ჯორჯიაშვილი“ და სხვ). უთარილო. ხელნაწერი. მელანი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 5 ფ.

193. შ. დადიანის ავტოგრაფია. უთარილო. ნაბეჭდი. დამოწმებული დედანთან. 3 ფ.

194. შ. დადიანის სხვადასხვა სახის ავტობიოგრაფიული დოკუმენტაცია. ჩამონათვალი პუნქტების მიხედვით: 1. სამსახური; 2. დავალებანი; 3. დაჯილდოების იუბილე; 4. პროფესიონალის; 5. შვებულება; 6. დათხოვნა; 7. ხელისალი დანიშვნა. უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. 3 ფ.

195. დ. კანდელაკის მიმართვის ასლი ა. ვ. ლუნაჩარსკისადმი, შ. დადიანის მოსკოვში მივლინების შესახებ. უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

196. სსრ სახალხო განათლების კომისარიატის მიერ შალვა დადიანის სახელზე გაცემული მანდატი, რომ იგი ნამდვილად არის რესპ. სახალხო განათლების კომისარიატის ოფიციური განყოფილების გამგე. ხელს აწერს: სახალხო განათლების კომისარი – ვლ. კახნდელაკი; კანცელარიის მმართველი – ალ. მიქაბერიძე.

უთარილო. ნაბეჭდი. 1 ფ.

197. მთავრობის დადგენილებათა პროექტი, შ. დადიანის იუბილესთან დაკავშირებით.
უთარილო. ნაბეჭდი. 1 ფ.

198. შ. დადიანის წერილი სკპ (ბ) ც. კ. სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებისა და სსრ სახალხო კომისართა საბჭოსადმი, თეატრალური მუზეუმის დაარსებისა და ოფიციალურად გახსნის თარიღად 1928 წლის 2 იანვარის მიხნევასთან დაკავშირებით.
უთარილო. ავტოგრაფი. ნაბეჭდი. 1 ფ.

199. შალვა დადიანის ავტობიოგრაფია.

უთარილო. ავტოგრაფი. ნაბეჭდი. მელანი. 6 ფ. (2 ეგზ.).

200. ხარჯოვის „ბერეზილის“ სახელმწიფო მუზეუმის დირექციის ხელშეკრულება დადებული შ. დადიანთან და დ. მეერვეთან მიესის – „თეონულდი“ უკრაინულ ენაზე გადათარგმნისა და დრამატურგიული გადამუშავების შესახებ.
უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

201. შ. დადიანის „შრომის სია“, ავტობიოგრაფიული მასალა.
უთარილო. ავტოგრაფი. 4 ფ.

202. შ. დადიანის თხოვნა ქუთაისის სამხედრო გენერალ-გუბერნატორისადმი, ქ. ქუთაისში ქართულ ენაზე თატრის, ხელოვნებისა და ლიტერატურის უკრნალის – „ვარსკვლავი“ გამოცემასთან დაკავშირებით.
უთარილო. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 2 ფ.

203. ვახტანგ მჭედლიშვილის სახელობის მოსკოვის დრამატული სტუდიის წევრთა – შ. დადიანის, ნ. დემიდოვისა და ლ. ვოლკოვის ერთობლივი დადგენილება სტუდიის არასასურველი გარემოს დაშლისა და ახალი შემაღებელობის შერჩევასთან დაკავშირებით.
პირი: გ. ბათონიშვილი, გ. ბერაძე, გ. ჯავაშვილი, მ. ქორელი, გალ. რობაქიძე, შ. სოსლანი, ელ. ციხისთავი, ვ. შიხაშვილი, მელიტა ზურმუხტაშვილი, აბაშიძე, ვ. გველესიანი, მ. გრძელიშვილი, ი. თუმანიშვილი, ანტ. ჭუმბურიძე, ტ. შარაშიძე, ნ. გომიაშვილი, იაკობაშვილი, ა. მიქელაძე, სულიაშვილი, გრიგოლია. უთარილო. ნაბეჭდი. მელანი. რუსულ ენაზე. 4 ფ. (2 ეგზ.).

204. ჭიათურის შავი ქვის (მარგანეცის) წარმოების დოკუმენტაცია: 1. ჭიათურის მარგანეცის საბათოების – „ამხანაგობა“ მასალები; 2. შ. დადიანის მიერ წარდგენილი ჯგუფის სიები; 3. შავი ქვის მარმოებელ მრეწველთა საბჭოს კომისიის დოკუმენტაცია, სხვადასხვა დოკუმენტაცია, ვექსილები, ხელშეკრულებები.
უთარილო. ავტოგრაფი. ხელნაწერი. ტუში. მელანი. ფანქარი. ქართულ და რუსულ ენებზე. 93 ფ.

205. თეატრის დირექტორ იუზა ზარდალიშვილის მიერ გაცემული სახელმწიფო დრამის თეატრის საშვი, სათეატრო განყოფილების გამგე შ. დადიანისადმი (1921-22 წწ. სეზონი).
უთარილო. ხელნაწერი. ნაბეჭდი. 1 ც.

შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

ურნალი „მოზარდი“

206. ჭ. დადიანის მიერ 11 წლის ასაქში დაწერილი მოთხოვობა – „ამბავი“.

1885 წ. ავტოგრაფი. მელანი. დაზიანებული. 10 გვ.

207. სანიმუშო ნომერი „მოზარდი“, სალიტერატურო ურნალი, წიგნი I. 1. ურნალის – „მოზარდი“ პროგრამა (მოთხოვობები, პოლემიკური სტატიები, მოწერილი ამბები, გეოგრაფია, ბიოგრაფიები, ლექსები, შელოცვები, მოთხოვობები, გამოცანები და სხვ); 2. საახალწლო მიღლოცვა და „ახლად შებილი“ ურნალისთვის გზის დალოცვა; 3. მოთხოვობა „ლუცია ბრანკაზიო“; 4. ლექსი „სიჩუმე“ (1887 წ. დაწერილი); 5. სამეცნიერო ამბები; 6. ლექსი „საყარელო საშობლო, რამ დაგადონა?“; 7. ცნობა „ისპანიის“ რომანისტის ფერნანდეს განზალების გარდაცვალებაზე, ბრიტანეთის მუზეუმში გაზეთებისა და ურნალების სამკითხველოსათვის ფულადი დახმარების გაწევის შესახებ, გერმანიის წიგნების მბეჭდავი ფირმისა და გოვთეს ურთიერთობაზე, ლონდონის გაზეთ „ტაიმზის“ უმთავრეს პატრონისათვის ამ გაზეთის დაბრუნებიდან 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით პერის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ; 8. გაზეთში – „ყარსი“ დაბეჭდილი ინფორმაცია ხანდაზმულთა შესახებ სოფ. გიუდალისში, გაჯიგალისში, ბერნაში, ვიზინევში, დიდაბარგოში, კინ-ყიზში მცხოვრებ ადამიანთა ასაკის შესახებ; 9. ინგლისურიდან ივ. მაჩაბელის მიერ „პამლეგი“-სა და „ოტელო“-ს ქართულ ენაზე თარგმანის შესახებ. აქედა ინფორმაცია მოსამართლე ს. წერეთელის თაოსნობით ტფილისში ქართულ ენაზე ყოველთვიური ურნალის გამოშევებისა და ს. მესტიაშვილის მიერ შედგენილი „ბუნების მოვლენანი“-ს დაბეჭდვის შესახებ; 10. ლექსი „სულის წუხილი“ შესახებ; 11. „მოწერილი ამბავი“ (კორესპონდენცია): ახონიმი ავტორის წერილი ქ. ტულონიდან (საფრანგეთი) მგზავრობასა და იმდროინდელ ამბებთან დაკავშირებით; 12. 1. დიმიტრი ყიფიანის ნეკროლოგი (1814-1887 წწ.) პოეტი იოსებ სვიმონის ძე დავითაშვილის ნეკროლოგი (1850-1887 წწ.); 13. არითმეტიკული გამოცანები; 14. კროსვორდი; 15. ურნალის – „მოზარდი“ დამატება, „უჩინარის“ ფსევდონიმით მოთხოვობა „გამოცდილება ყოველგვარი“ (თფილისში, ერთ მაღაზიაში მოსმენილი ერთი ოჯახის ისტორია. აღწერილია საქართველოში ბატონიშვილის გადაგარდნის პერიოდი და სოფლიდან ქალაქში გლეხთა მიგრაციის პროცესსა და თავადთა ურთიერთობების შესახებ).
1888 წ. თებერვალი. სოფ. ბეთლემი. ავტოგრაფი. მელანი. 26 ფ.

208. სალიტერატურო ურნალი „მოზარდი“ №2. 1. სალიტერატურო სტატიები, მოთხოვობები, ისტორიული ამბები, გეოგრაფია, ლექსი, მოგზაურობა, პედაგოგიური სტატიები, იგავები, ანალიზები, გამოცანები; 2. „სადიდმარხევო“ მასლაათი; 3. შემდეგ ნომერში დასაბეჭდი მოთხოვობის – „დაქცეული კოშკი სიკეთისა“ ახონის. 4. ჭ. დადიანის ლექსი – „ვინ შეედრება ბედნიერებით მას, ვინც მმასავით დღე და რამე შრომბას“; 5. სამეცნიერო ნაწილი, მრავალმხრივი ინფორმაცია ფილოქსერას მავნებლობის შესახებ; 6. ლექსი „პოეტი“ (თარგმანი დობოლუსტოვიდან); 7. რუბრიკა „საჭირო სიტყვები“ – ჭ. დადიანის ბერძნული გამონათქვამები. 8. სხვადასხვა ასახსნელები – კროსვორდები; 9. ურნალ „მოზარდის“ ბოლოს არის ჭ. დადიანის 1894 წლის 8 აპრილის ჩანაწერები „მეთვალყურის ფურცელი“, „შეერთებული მუშაობა“ კახეთში რკინიგზის გაყვანისა „მეღვინეთა ამხანაგობის“ დვინით ვაჭრობის შესახებ.
1888 წ. 18 მარტი. ავტოგრაფი. მელანი. 8 ფ.

209. სალიტერატურო ურნალი „მოზარდი“ №3. 1. რუბრიკა – „ჩექნს ლიტერატურაზე“ ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ. 2. „ბუნების ისტორიიდამ“ – შემაინი გველების შესახებ; 3. „მეცნიერებიდამ“ – ასტრონომიული საკითხები, „სოფლის დაარსების თეორია“. მეცნიერებზე: სუდენბორგზე, კანტზე, ლაპლასზე, ჩ. დარვინზე, ჸ. სპენსერზე; 4. „უკანასკნელი შთამომავალი საქართველოს მეფის სახლობისა“ – ავტორი „ა. ე – ოვი“ – აღწერს XVIII საუკუნის ბოლო პერიოდის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ და ისტორიულ კატაკლიზმებს, ქვეყნის სამეფო სახლის უკანასკნელი მეფის ისტორიას, აღა-მაკმად-ხანის შემოსევას, ერეკლე II-ის ცოლებსა და მემკვიდრეთა ურთიერთობებს, ალ. ბატონიშვილის ბრძოლას რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ; 5. არითმეტიკული გამოცანები; 6. სალიტერატურო ურნალის – „მოზარდი“ პროგრამა.
1888 წ. 30 მაისი. ავტოგრაფი. ჭვირნიშნიანი. 8 ფ.

210. სალიტერატურო ხელნაწერი ქურნალი „მოზარდი“ №5. 1., „ა. ე. – ვი“-ს მოკლე მიმოხილვა – „ლეონ ბატონიშვილი ოსეთში“, 1811 წ.; 2. ფსევდონიმი „ვარლამი“, პატარა მოთხოვობა „მოჩვენება“ და „ქოლო“; 3. „ან“-ის ლექსი „ჩემი აღსარება“ (ეძღვნება მეგობარს); 4. „ქრისტეფორეს“ ფსევდონიმით დაწერილი „აედაგოგიური შენიშვნა“ ოჯახური აღზრდისა და მშობლების როლზე; 5. „მელექესე“ ფსევდონიმით ლექსი „მესტევირული“ („დაგვიდგა ცუდი დროება“); 6. რუბრიკა „დ. ბ-ძ“ „ქართული ისტორია“ (გაგრძელება), წერს ქრისტეს დაბადებისა და ახალი სჯულის დასაწყისზე, საქართველოს გამაქრისტიანელებზე – ლვითისმშობელზე, ანდრია პირველწოდებულის საქართველოში I და II შემოსვლაზე, ტრაპიზონს მოიხსენიებს მეგრელთა სოფლად „რომელ არს სოფელი მეგრელთა“; 7. „დ. მელი“ (ღუგუ მეგრელის) „მაისის დამე“ (ნაწევრი პოემიდან); 8. „მეგრელ-იმერელის“ ფსევდონიმი. უსათაურო ლექსი – „ბუქჩებედ ერთი ვარდი სანგრძლივ ტურფად იშლებოდა“; 9. განცხადებები; 10. რეკლამა და საძიებელი.

1888 წ. 27 ივნისი. ავტოგრაფი. მელანი. ჭვირნიშნიანი. 8 ფ.

211. სალიტერატურო ხელნაწერი ქურნალი „მოზარდი“ №4. 1. ისტორიული ქრონიკების მოკლე მიმოხილვა – „უკანასკნელი შთამომავალი საქართველოს მეფის სახლობისა“ (დასასრული): ა. ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ წარმოთქმულ ბრძოლებზე ერევანთან, თავრიზთან, შემდეგ მისი განიხინა საარსეთში, გარდაცვალება თეირანში (1844 წ.); ბ. ბატონიშვილი ირაკლის დაბადება ერევანში, მისი ცხოვრება და გადრაცვალება (1827-1882 წწ.); 2. „ქართული ისტორია“ – ანდრია მოციქულის ქადაგება საქართველოში; 3. ლექსი „ჩემს მეგობარს“ (ფსევდონიმი „მეგრელი“); 4. ლ. ტოლსტოის „იოანე გუხი“. (შ. დადიანის თანგმ.) ჩემ განმანათლებელ ბერზე, პრალის უნივერსიტეტის რექტორზე, მასწავლებელსა და პროფესორზე; 5. „ნარევი“ – იუმორისტული ნაკვესები; 6. ჩინური სამზარეულოსა და ჭამის წესჩვეულებებზე; 7. გასაოცარი ამბები (ავსტრიაში მტრედის წარწერით – „ერევანი“ და შავი ყარყატის, ავსტრიიდან – მოკვლის შესახებ); 8. არითმეტიკულის გამოცანები (შ. დადიანის ჩანახატებით); 9. განცხადება (პროგრამა).

1888 წ. ივნისი. ავტოგრაფი. მელანი. 8 ფ.

212. სალიტერატურო ხელნაწერი ქურნალი „მოზარდი“ №6. 1. „ქართული ისტორია“ (გაგრძელება), „ქართლის ცხოვრების“ ქრონიკების, ასფაგურისა და მირიანის ეპოქის მოკლე მიმოხილვა. ავტორი დ. ბაქრაძე; 2. ლექსი „სიმღერა“ („ჩემი ბედის ვარსკვლავმა შორიდან ამოანათა“); 3. ლ. ტოლსტოი – „იოანე გუხი“ (გაგრძელება); 4. პ. მირიანაშვილის წერილი – „ბაბელის შენობა ჩვენი ენის ფორმების სმარებაში“, აგრეთვე დ. გურამიშვილზე, სულხან-საბა ორბელიანზე, ანტონ კათალიქოსის გრამატიკაზე. აკრიტიკებს ალექსი-მესხიშვილის მიერ ქართულ ენაში მამრობითი და მდედრობითი სქესის შემოღებისა და დამკვიდრების მცდელობას. აქვე განიხილავს ზოგიერთ განსხვავებული ქლერადობის სიტყვებს, წერს ქართული ენის სამეცნიერო შესწავლის აუცილებლობაზე, მწერლებს და პოეტებს მოუწოდებს თავიანთი თხზულებების „ხელახლად გამართვისაკენ“. წერილის ავტორი ეხება აგრეთვე ზოგიერთი სუფიქსის („ისი“, „ეთი“, „ელ-ი“) ხმარების წესების და უცხო ენებიდან ლიტერატურული თხზულებების თარგმანის კანონებს. აკრიტიკებს საერო მწერლობაში საკლებო ენის ფორმათა კვლავ დამკვიდრების თვალსაზრისს; 5. განცხადებები; 6. საძიებელი.

1888 წ. 15 ივლისი. ავტოგრაფი. მელანი. ჭვირნიშნიანი. 6 ფ.

213. სალიტერატურო ხელნაწერი ქურნალი „მოზარდი“ (1888 წ. 1 აგვისტო) №7. 1. ლექსი – „აჩრდილი“ (წარწერით ვუძღვნი ბ. ა-ს); 2. „გ-თელი“ – დოქტორ კრუპოვის თხზულებიდან (კაცობრიობის სულის აგადმყოფობა და იმის გადამდებობა); 3. ღუგუ მეგრელის ლექსი – „ჩემს მეგობარს“; 4. ლ. ბ-ძის (დიმიტრი ბაქრაძის) – „ქართული ისტორია“. 5. მიმართვა – „ჩვენს თანამშრომლებს“ თხზულებების დროულად გამოგზავნის შესახებ; 6. საძიებელი; 7. „ფიგულარული ავტოგრაფები“.

1888 წ. 1 აგვისტო. ავტოგრაფი. მელანი. ჭვირნიშნიანი. 8 ფ.

214. სალიტერატურო ხელნაწერი ქურნალი „მოზარდი“ საქმე, ჩამოწერილი გაგმა, გადახაწილებული რიცხვების მიხედვით: ლექსების, პოემების, თხზულებების, მოწინავე სტატიების, ამოკრეფილი ამბების, განცხადებების ანონსერი სქემა და ხელმომწერთა სია, ხელმომწერები: მიხეილ ცხაკაია, დიმიტრი ბოჭარია, ვლ. გაგუა, ივ. ცხაკაია, სამს. ყიფიანი, კოწია მაჭავარიანი, გრძელიშვილი, ვახვახიშვილი, თაქთაქიშვილი, ჩოლოფაშვილი, ჯორჯაძე, მაჟაშვილი, პ. კვიტარიძე, მ. ლორთქიფანიძე და სხვ.

1888 წ. ავტოგრაფი. მელანი. 8 ფ.

215. სალიტერატურო ხელნაწერი ჟურნალი „მოზარდი“ №1. ჟურნალის მომავალ პერსპექტივებთან დაკავშირებით; 2. შ. ჩრეპინელის (ჩრეპინელი) საახალწლო სტატია – ქართველი ხალხის ღირსეულ ცხოვრებასთან დაკავშირებით. 3. „გაზეთ ივერის“ – (ლექსი შ. ჩრეპინელის); 4. შ. დადიანი – „ორიოდე სიტყვა ისტორიულ ჟურნალზე“, უცხო ქვეყნების წარსულის გასაცნობად სპეციალური ისტორიული ჟურნალის გამოშვებასთან დაკავშირებით; 5. ლ. რ-ი „შეუპოვრობა“ (გერმანიაში გამოსული აღმზრდელობითი დანიშნულების წიგნის – „ჩვენი თანამედროვე აღზრდა და თავჭედობა“, განხილვა; 6. ლ. რ-ი – პატარა მოთხრობა „ღვთისმოვარე დედა და მისი შეილები“; 7. ლადო გ-ს ლექსი „ლომი და მონადირე“. 8. დ. ძე-ლი – „სვიმონ მდვდელი“ (მოთხრობა, იღილია); 9. რუბრიკა „მიმოხილვა“, წარსული წლის ჟურნალის – „მოზარდი“ ნომრების კრიტიკული მიმოხილვა; 10. „ასახსნელები“ – საპასუხო კითხვები; 11. გამოცანები; 12. განცხადებები.

1889 წ. 4 იანვარი. ავტოგრაფი. მელანი. 11 ფ.

216. სალიტერატურო ხელნაწერი ჟურნალი „მოზარდი“ №3, №4. 1. ლექსი – „შენ გიგალობენ ყოველი მოძრავი“ (უცნობიავტორი) დ. ყიფიანის შესახებ; 2. შ. დადიანის ნარკვევი – „სამეგრელო“, სამეგრელოში შექმნილ პრობლემებთან დაკავშირებით. 3. „მოწერილი ამბავი ძმაო ამბიავი?“ – (კორესონდენცია) ავტორი ლექსა მოძგვერადე სოფლ ცხენთაროს შესახებ (გალავანშემოვლებულ სოფელში არის ბანკი, სკოლა, თეატრი, სტამბა, ბიბლიოთეკა და სხვ); 4. პატარა დიდაქტიკური მოთხრობა – „ემაწვილის ფიქრები“, ავტორი ათანასე – წერს მშობლის, აღმზრდელებისა მასწავლებელის დარიგება-შეგონებების ცხოვრებაში გატარების შესახებ; 5. ლ. რ-ის მოთხრობა – „ახალგაზრდა მწყემსი“, მდიდარი მებატონისა და მწყემსის გასაუბრების შესახებ; 6. მოთხრობა – „განო და მისი ამხანაგები, ავტორი „შალიკო“ (სოფ. ბერთ-თემი); 7. რუბრუკაში – „მიმოხილვა“ განხილულია წინა ჟურნალში გამოქვეყნებული მოთხრობები, თარგმანები, სტატიები და სხვა; 8. სახსნელები. 9. განცხადება.

1889 წ. 25 თებერვალი. ავტოგრაფი. მელანი. 8 ფ.

217. სალიტერატურო ხელნაწერი ჟურნალი „მოზარდი“ №5. 1. სამეგრელოში შეძლებული თავადების, აზნაურებისა და გლეხების ოჯახებში ადზრდილი, სწავლა განათლების მაძიებელთა შესახებ. 2. დ. მე-ლის პოემა – „საბრალო მოხუცი“; 3. მოთხრობა – „პეტილი დები“ (ფსევდონიმი „შალიკო“); 4. ლ. რ-ი – ლიტერატურული ეტიუდი „ვარდები“; 5. იორდანე კოჭლის სტატია – „უმაღლესი სამეურნეო სასწავლებელი კავკასიაში“, შესაბამისი უმაღლესი სასწავლებლის დაარსების შესახებ; 6. ჟურნალის – „მოზარდი“ №2 და №3 მიმოხილვა (ეს ნომერი აღნუსხულ ნიმერაციას აკლია); 7. „ასახსნელების ახსნა“; 8. ჟურნალის – „მოზარდი“ რედაქციის მისამართი.

1889 წ. 7 მარტი. ავტოგრაფი. მელანი. 9 ფ.

218. სალიტერატურო ხელნაწერი ჟურნალი „მოზარდი“ №6, №7. 1. „მოგზაური ამხანაგობა“, იორდანე კოჭლის ფსევდონიმით გამოქვეყნებული სტატია ქართველი ახალგაზრდების ცოდნის ამაღლებისთვისა და ქვეყნის მეტად გაცნობის მიზნით, საქართველოს ტერიტორიაზე მოგზაურობის შესახებ; 2. დ. მე-ლის (დუბეუ მეგრელი) პოემა – „საბრალო მოხუცი“ (გაგრ). 3. №3, №4, ჟურნალის – „მოზარდი“ მიმოხილვა, კრიტიკულად განიხილავს ვინგე ასლან ჩხეია (ფსევდ.) ლ. მორგვაძის წერილს, ათანასეს – „ყმაწვილის ფიქრები“ და თხზულებებს – „ახალგაზრდა მწყემსი“ და „განო და მისი ამხანაგები“; 4. „ასახსნელები“; 5. განცხადება; 6. პროგრამა (შემდეგი ნომრის მიმოხილვა).

1889 წ. 11 აპრილი. ავტოგრაფი. მელანი. 10 ფ.

219. სალიტერატურო ჟურნალი „მოზარდი“ №6, №7, №8, №9. 1. ლექსი – „ჯოლევის მთიდან ნელა მოსცურავს ბადრი მთვარე გაბრწყინებული“, შ. დადიანის მიერ დაწერილი ექსპრომტი. 2. „სამეგრელო, (გაგრძელება, III ნაწილი); თემა – „ურდობა, ერთი უდიდესი სენი სამეგრელოსი“; 3. ლ. რ-ი, პატარა მოთხრობა – „მარგალიტი“; 4. გ. ფლობერის ისტორიული მოთხრობა – „იროდიადამ“ („თავი იოქანამისა“); 5. „მცირე შენიშვნა“ 1889 წლის ჟურნალ „მოზარდში“, №2 გამოქვეყნებული კრიტიკული შენიშვნები შ. დადიანის სტატიაზე – „დამხმარებელი საზოგადოება“, შეძლებულ პირთაგან ვაჭრობისა და განათლებაში ქვეყნის გასაძლიერებელი საზოგადოების დაარსების შესახებ; 6. ანეგდოტები, იგავები, ანდაზები და გამოცანები.

1889 წ. 10 მაისი. ავტოგრაფი. მელანი. 8 ფ.

220. სალიტერატურო ჟურნალი „მოზარდი“ №10. 1. იოანე კოჭლის კრიტიკული წერილი – „უსაქმური ახალგაზრდობა“, სამეგრელოს სოფელ ბანბის ახალგაზრდებისადმი მეგრული სიძლერების დაკარგვა-დავიწყებისაგან გადარჩენის თაობაზე. 2. „ამბია გუვთაძის“ (ფსევდ.) მოწერილი ამბავი უცხოელი თანამობინადრის – „ჰიპნოტის მეცნიერების საკირველებების შესახებ. წერს აგრეთვე ედისონის გამოგონების – „ჰაერის მაშინა“ შესახებ; 3. „ათანასე“ (ფსევდ.) – „ემაწვილის ფიქრები“, ავტორი აანალიზებს საყმაწვილო წიგნს – „შალვას თავგადასავალი“, წერს თავის შთაბეჭდილებებს; 4. „გაკვრითო შენიშვნები“, განხილულია სტატიები – „ორიოდე სიტყვა ისტორიულ ჟურნალზე“ (დ. ბაქრაძის ბრწყინვალე ისტორიული კვლევების შესახებ) და „საქართველოს ისტორიული ლიტერატურის წარმატებებზე“, მეორე სტატიაში ავტორი ცდილობს ახსნას ისტორიული ჟურნალის დაარსების ხელისშემშლელი მიზეზები და მოუწოდებს მკითხველს ერის ისტორიული წარსულის უკიცხობის დაძლევისაკენ. ვიწრო ისტორიკოსობა საშიშ მოვლენად არის მიწნეული. ავტორი ახალგაზრდა მკითხველებს ურჩევს შემდეგ ნომერში განსახილველად შეკითხვების გაგზავნას; 5. კრილოვის იგავ-არაკი – „მგელი და ბატკანი“, „ეშმაკის შავი“. 1889 წ. 24 მაისი. ავტოგრაფი. მელანი. 5 ფ.

221. სალიტერატურო ჟურნალი „მოზარდი“ №11. 1. ჩხილი ბანბელი (ფსევდ.) – „როს გაზაფხულის ტბილსა ჰაერში ყვაილთა გუნდი სურნელსა აბნევს“; 2. ზარის მრეკიძე (ფსევდ.) წერილი „ქართველ ქალებზე“. წერილი ეხება ქალთა ემანსიპაციის საკითხს. აგრეთვე წერს აქტიურად მოქმედ ქალებზე: ეპ. გაბაშვილი, ელ. ლოროტქიფანიძე, ნასტასია თუმანიშვილი; 3. არგაგულიძე (ფსევდ.) – „გაკვრით“. ავტორი ეხმანება გასული წლის „ივრიის“ ერთ-ერთ ნომერში დაბეჭდილ განათლების პრიორიტეტებს; 4. ჩხილი ბანბელის ლექსი – „მაისისა და აპრილის გასაუბრება“; 5. „გაკვრითო შენიშვნები“ – ერთი მრავალთაგანის (ფსევდ.). ა) წერილი-მიმოხილვა ჟურნალ „მოზარდში“ (წინა ნომერში) გამოქვეყნებული შ. დადიანის ნარკვევისა „სამეგრელო“, ახალგაზრდების ყოფა-ცხოვრებასა და განათლების მიღების აუცილებლობასთან დაკავშირებით, აგრეთვე „კაგაბასიის სამეურნეო საზოგადეობის“ დარსების აუცილებლობის შესახებ; 6. „მიმოხილვა“ – ასლანგ ჩხეკია (ფსევდ.), განხილულია შ. დადიანის სტატიები: „სამეგრელო“, „უმაღლესი სამეურნეო სასწავლებელი კავკასიაში“ და „მოგზაური ამხანაგობა“. 1889 წ. 9 ივნისი. ავტოგრაფი. მელანი. ჭვირნიშნიანი. 7 ფ.

222. სალიტერატურო ჟურნალი „მოზარდი“ №12, №13, №14. 1. ალგარბულაძის (ფსევდ.) სტატია ქართული ლიტერატურის აღორძინების პერსპექტივასა და იმერეთში გამოსულ გაზეთების – „შრომა“ და ქალთა გაზეთის – „ქართული ბიბლიოთეკა“ შესახებ; 2. დ. მელის ლექსი – „შავ ზღვას“; 3. მ. გიგოშვილის პატარა ეტიუდი ვიქტორ ჰიუგოს შესახებ. 4. დ. ულის ლექსი – „ორი შესვედრა“; 5. გ. გიგოშვილის წერილი – „რას ეძახიან კლასიკურ და რეალურ სწავლა-აღზრდას?“; 6. ივ. ხუნწელის ლექსი – „გლეხის აღსარება“; 7. რედაქციის მისამართი. 1889 წ. 24 ივნისი. ავტოგრაფი. მელანი. ჭვირნიშნიანი. 7 ფ.

223. სალიტერატურო ჟურნალი „მოზარდი“ №15, №16. 1. იორდანე კოჭლის (ფსევდ.) სტატია – „ჩვენი ბრალია“, განვითარების მიზნით სამრეწველო სახლების, სახელოვნო სკოლებისა და სალიტერატურო წრეების დაარსების შესახებ; 2. შ. ჩრეპიწელი – „სიზმარი“, მიმოხილავს საყმაწვილო-სალიტერატურო ჟურნალის – „მოზარდი“ პირველ და მომდევნო ნომრებს, მათი თემატიკისა და ფორმატის ეტაპობრივად გაუმჯობესებას, აგრეთვე ქართველი ერის განვითარების შესახებ; 3. „გაკვრითო შენიშვნა“-ში განხილულია შ. დადიანის „ვანო და მისი ამხანაგები“, „კეთილი დები“, ლ. რ-ის საყმაწვილო მოთხოვნები – „ვარდები“, „ახალგაზრდა მწერები“, „ქალაქობა“, „დავთისმოსავი დედა და მისი შვილები“, შ. ჩხერეპიწელის – „სიზმარი“, დ. მელის ნაწერები – „იდილია“, „სვიმონ მღვდელი“, მისივე პოემა – „საბრალო მოხუცი“. 1889 წ. 28 აგვისტო. ავტოგრაფი. მელანი. ჭვირნიშნიანი. 4 ფ.

224. სალიტერატურო ჟურნალი „მოზარდი“ №17. 1. დუბუ მეგრელის ლექსი: „საღამო არის, მე დავდივარ ფიქრთ გასართველად“; 2. შ. დადიანის კრიტიკული წერილი ეხება 3 წლის წინ „ივერია“-ში გამოქვეყნებულ სტატიას იმერეთსა და ქართლში ლიტერატურის არარსებობის შესახებ; 3. ალგარბულაძის სტატია – „გაკვრით“, ეხება სამეგრელოს დაბა ახალი სენაკში მცხოვრები საზოგადოების ყოფითი საკითხების შესახებ; 4. ივანე ხუნწელის ლექსი, თარგმანი რუსულიდან, უსათაურო – „ხშირად მას ვფიქრობ“; 5. იორდანე კოჭლის (ფსევდ.) კრიტიკული წერილი – „მცირე შენიშვნა“ საქართველოში წიგნების გამოცემასა და სტამბების შემაობის გაუმჯობესების შესახებ; 6. „გაკვრითო შენიშვნები“, მოკლე კრიტიკულ წერილში

განხილულია წინა ნომერში გამოქვეყნებული გ. ჩრეპიწელის „სურათები“ (I-II სურათი მეცნიერების ცხოვრებიდან, III-IV ქალაქის ცხოვრებიდან სურათები გამიზნულია მოზარდებზე შთაბეჭდილებისა და ზეგავლენის მოსახლენად).

1889 წ. 13 სექტემბერი. ავტოგრაფი. მელანი. ჭვირნიშნიანი. 4 ფ.

225. სალიტერატურო ჟურნალი „მოზარდი“ №21. 1. იორდანე კოჭლის (ფსევდ.) სტატია – „ახლად დაბადებულზე“, ექვება ანასტასია თუმანიშვილის მიერ საყმაწვილო ჟურნალის გამოცემასა და კარგი საყმაწვილო წიგნებისა და ჟურნალების ხშირად ბეჭდვის საჭიროებას; 2. შ. ჩრეპიწელის (ფსევდ.) – „სიზმარი“ (ფანტაზია) ძველ კლასიკურ წიგნებსა და ახალი ლიტერატურის, როგორც ნათარგმნის, ასევე მშობლიურის მთელი კავკასიის მაშტაბით გამოცემის შესახებ; 3. ასლანტ ვარდამაძის (ფსევდ.) – „დედა მოკა“ (ძველი ოქმულება); 4. რუბრიკა „ენის შესწავება“ – ა) ქართული სალაპარაკო ენის ჩამოყალიბების ეტაპების შესახებ; ბ) გრამატიკის – „სიტყვიერი წყობის უმკვიდრესი კანონების“ შესახებ; გ) წინადაღების სინტაქსური წყობის შესახებ.

1889 წ. 5 ნოემბერი. ავტოგრაფი. მელანი. ჭვირნიშნიანი. 7 ფ.

226. სალიტერატურო ჟურნალი „მოზარდი“ №22. 1. იორდანე კოჭლის (ფსევდ.) წერილი „გულგრილობა“; 2. მოთხოვნა „მმა მმაზედ“ (გაგრძელება თავები – IV-V-VI); 3. „ენის შესწავება“ – გაკვეთილები და რეკომენდაციები ქართულ გრამატიკაში; 4. „ალიზის სახლი“ და მისი აშენების პროცესს; 5. ჟურნალის – „მოზარდი“ ხელნაწერი პროგრამა (1890 წ.).

1889 წ. 28 ნოემბერი. ავტოგრაფი. მელანი. ჭვირნიშნიანი. 8 ფ.

227. სალიტერატურო ხელნაწერი ჟურნალი „მოზარდი“ №1. 1. წერილი „საქართველო“, ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა სოფ. ბეთლემი, 1882 წ. 2. „აკიდო“, „ახალი სიტყვა“ – ჯაბადარსა და თერგდალეულების შესახებ. 3. იორდანე კოჭლის წერილი – „ფინჩხა-ფუნჩხა“. 4. „კოწია ჯავარიშვილი ანუ ერთი უბედურების მსხვერპლთაგანი“. 5. განცხადება – ინფორმაცია, შემდეგი ნომრის პროგრამისა და თემატიკის ანონსი.

1890 წ. 1 იანვარი. ავტოგრაფი. მელანი. ჭვირნიშნიანი. 8 ფ.

228. სალიტერატურო ხელნაწერი ჟურნალი „მოზარდი“, 1890 წ. №2. 1. „აკიდო“ – ახალი სიტყვა; 2. ავტორის ლექსი – შესავალი ნაწილი, მიძღვნილი სხვადასხვა პირებისადმი, პოეტური „საახალწლო ძღვენი“; 3. მოთხოვნა, ამბავი „კოწია ჯავარიშვილი ანუ ერთი უბედურების მსხვერპლთაგანი“. 4. საყმაწვილო ჟურნალის – „ჯეჯილი“ მიმოხილვა. წერს ი. დავითაშვილის, ვაჟა-ფშაველას, აკაკის წერილისა და ილიას ჭავჭავაძის შემოქმედებაზე; 5. ბარელის მოთხოვნა – „გიგლას სიზმარი“; 6. ეპილოგშია – „შენიშვნა რედაქციისაგან“ და ლექსი „ჩემ თავს“. 1890 წ. 15 იანვარი. ავტოგრაფი. მელანი. 6 ფ.

229. სხვადასხვა ნაწერები: 1. „შარან-ხვასრო-თანგ გორგასალ“. 2. ხშირი ამბავი (შინისქნ); 3. „ხერხმა სიყვარული განახორციელა“, რუსულიდან თარგმნილი კომედია I მოქმედებად; 4. „დაჭრილი ირემი“ (მოთხოვნა მონადირისა). 5. აი, თურმე, რა ყოფილი! (კოდევილი). 1890 წ. 22 იანვარი. ავტოგრაფი. მელანი. 17 ფ.

230. სალიტერატურო ხელნაწერი ჟურნალი „მოზარდი“ №3. 1. „აკიდო“ – „მო, დავსხდეთ მწერლობისათვის“, იოანე კო ლის ფსევდონიმით ნაწერი ენისა და მწერლობის შესახებ; 2. „ეპთილის მყოფელი უცნობი“, რუსულიდან ნათარგმნი კომედია; 3. „კოწია ჯავრიშვილი ანუ ერთი უბედურების მსხვერპლთაგანი“, გაგრძელება. „ქართული გამოცემანი“ – რუბრიკა და კრიტიკული მიმოხილვა საყმაწვილო ჟურნალის „ჯეჯილი“, განიხილავს ლექსებს – „ბაზალეთის ტბა“, „შობა დამეს“, „ლეთის შეილი“. რ. ერისთავის პოზიას, ალ. ჭიჭინაძის მითოლოგიურ ამბებს. ასევე ფრანგულიდან ნათარგმნი თხზულება – „სამაგიეროს გადახდა“; 5. ჟურნალის – „მოზარდი“ განცხადება შემდეგი ნომრის პროგრამის შესახებ. 1890 წ. 1 თებერვალი. ავტოგრაფი. მელანი. 10 ფ.

231. შალვა დადიანის მოთხოვნა – „ხილად“, მასალა ჟურნალისთვის „მოზარდი“.

1890 წ. 7 თებერვალი. ავტოგრაფი. მელანი. 2 ფ.

232. სალიტერატურო ხელნაწერი ჟურნალი „მოზარდი“ №4. შ. დადიანის ჩანაწერები: 1. წერილი „საქართველო“, ქართული ინტელიგენციის შესახებ, საუბარია აგრეთვე გაზეთში ერთმანეთს შორის გამართული უარყოფითი პოლემიკის გავლენის შესახებ; 2. „აკიდო“,

„ახალი სიტყვა“ – ახალგამოცემული წიგნების, ჟურნალებისა და გაზეთების მნიშვნელობაზე. წერს ქართველ არისტოკრატიაზე; 3. „კოწია ჯავრიშვილი ანუ ერთი უბედურების მსხვერპლთაგანი“ (გაგრძელება); 4. რუბრიკა „ქართული გამოცემანი“, იაკობ გოგებაშვილის – „იავნანამ რა პქნა?“ განხილვა; 5) განცხადება ჟურნალზე – „მოზარდი“ ხელმოწერასთან დაკავშირებით. „მოზარდი“-ს დამატება: ა. „საქართველო“; ბ. „მოზარდი“-ს კორესპონდენცია; გ. აკაკის ნათქვამი ლექსი დ. ბაქრაძის დაკრძალვაზე – „სახსოვგარი“.

1890 წ. 15 თებერვალი. ავტოგრაფი. მელანი. 14 ფ.

233. ხელნაწერი სალიტერატურო ჟურნალი „მოზარდი“ №5. 1 მარტი. შ. დადიანის ჩანაწერები: 1. რუბრიკა „საქართველო“, პრესაში ატეხილი პოლემიკისა და ურთიერთდაპირისპირების შესახებ; 2. „კოწია ჯავრიშვილი ანუ ერთი უბედურების მსხვერპლთაგანი“; 3. რუბრიკა – „ქართული გამოცემანი“, „მამ ძმის მტერი“ – თარგმანი ა. წითლიძისა, ვ. პიუგოს თხზულების „ოთხმოცდამეცამეტე წელი“ მიხედვით; 4. სამი ახსნა „ჯეჯილი“-ს გამოცემებისა; 5. ჟურნალის – „მოზარდი“ განცხადება-ანონსი.

1890 წ. 1 მარტი. ავტოგრაფი. მელანი. 5 ფ.

234. ხელნაწერი სალიტერატურო ჟურნალი „მოზარდი“ №6. 1. „საქართველო“ (შ. დადიანი წერს ქვეყნაში დარღვეული ერთობის, შურისა და განცალკევების შესახებ); 2. „ახალი სიტყვა“ (წერს თერგდალეულებზე); 3. რუსულიდან ნათარგმნი საყმაწვილო კომედია – „კეთილისმყოფელი უცნობი“; 4. საყმაწვილო ჟურნალის – „ჯეჯილი“ №2 მიმოხილვა, განიხილავს ვაჟა-ფშაველას საყმაწვილო თხზულებებს, აგრეთვე „მაგდანას ლურჯა“-ს, „წიქარა“-ს და სხვ.

1890 წ. 15 მარტი. ავტოგრაფი. შავი მელანი. 6 ფ.

235. შ. დადიანის ხელნაწერი სალიტერატურო ჟურნალი „მოზარდი“ №7, საადგომო ნომერი. 1. „ქრისტე აღსდგა!“, მკითხველისადმი საადგომო მისალოცი წერილი რჯულის, მამულის, ენის, ერთობის შესახებ; 2. „პირველი აპრილი“ – მოტყუების დღის შესახებ; 3. ლექსი ქრისტეს აღგომაზე, „გაზაფხულია“ (ლექსი); 4. „მოგონებანი“ – მოიხსენიებს ეღისონს, სტენლის, ზ. ჭიჭინაძეს, იგონებს ბავშვობას, თანასოფლელებს, ბურთაობას, ცეკვა-თმაშს, ცაცხვის ძირში მონაყოლ საინტერესო ამბებს; 5. „დრამიდან“ (ლექსი); 6. „მოზარდი“-ს ფოსტა. 1890 წ. 1 აპრილი. ავტოგრაფი. მელანი. 8 ფ.

236. შ. დადიანის ხელნაწერი სალიტერატურო ჟურნალი „მოზარდი“ №8, №9. ნომერს მოყვება დამატება №2. 1. „აკიდო“, „ფინჩა-ფუნჩა“, სიტყვის უპატიობის შესახებ; 2. ლექსი „მთის წყარო“; 3. „შექსპირით“ – შ. დადიანის თარგმანი. „დიდი ამბავი ტყუილუბრალოდ“ (ანუ „ურზაური არაფრის გამო“), გრაგმერი; 4. ქართული გამოცემანი, კრიტიკული მიმოხილვა: ა) „ისტორია მართლ-მადიდებელი ეკლესიისა“, მოსე ჯანაშვილის და აჭ. წერეთლის „პატარა კახი“, აიესად გადაკეთებული, რომელიც დაიდგა სცენაზე. ჟურნალის – „მოზარდი“ დამატება №2 – 1) „საქართველო“; 2) „მოზარდი“-ს კორესპონდენცია: ა) II კლასიკური გიმნაზიის დირექტორის ალ. ლილოვის დაქრძალვის ცერემონიადი, ბ) თბილისში იტალიის პრინცის ინკონიტოდ ჩამოსვლის ამბავი; გ) წინამდგრადიანთქარის სკოლისთვის ფულადი დახმარების შესახებ; დ) თბილისური ამბები: გართობა, მუშტაიდი, ახალი „ნიუ-იორკი“ (სადაც უკრავენ მუსიკას „გურიიცები“, „ტრამვაისა და ორბორბლიანი ველოსიპედის შესახებ“; 3) „ელგა“; 4) „პეროროტორის ნასვეტი“, ქართულ ლიტერატურაზე მივიწყებულ – „მიყრუებული“ სიტყვების კვლავ „შემოღებასა“ და ვლ. აღნიაშვილის „უბის ლექსიკონის“ შესახებ; 5) ფელვტონი, „ტომარა“; 6) რუბრიკა „დეპეშა“ – თბილისური, ქუთაისური და სხვა „სამაზრო ქალაქების“ – ოზურგეთის, სენაკის, ამბები; 7) „ელგის“ ფოსტა; 8) „ელვის“ განცხადებანი; 9) ხელმოწერები სალიტერატურო ჟურნალზე „მოზარდი“ – შ. დადიანის კერსაგებშიული პროგრამით გაზეოს შემდეგ ნომერზე.

1890 წ. 1 მაისი. ავტოგრაფი. მელანი. 16 ფ.

237. სალიტერატურო ხელნაწერი ჟურნალი „მოზარდი“ №10. 1. „საქართველო“ – პუბლიკაციაში შ. დადიანი თხოვს თავის მკითხველს, რომ ყველამ ერთად „გასწიონ ლაზიერობა“, მოუწოდებს მათ ქმედებისკენ, ერთობლიობისაკენ. 2. „აკიდო“ („ფინჩა-ფუნჩა“), აქტიორებს მოუწოდებს თავიანთი როლების სრულყოფილად შესწავლისკენ. 3. დუბუ მეგრელის ლექსი – „შორს, არაშინდავ“, „ჯეჯილი“-ს №3. საუკეთესო სტატიებში მოიხსენიებს ბარელის – „ერთი ცვარი წყალი“.

პირი: აკაკი წერეთელი, შოთ მღვიმელი.

1890 წ. 16 მაისი. ავტოგრაფი. მელანი. 4 ფ.

238. ხელნაწერები სალიტერატურო ჟურნალი „მოზარდი“ №11. 1 ივნისი. 1) „საქართველო“ (ერთსულოვნების შესახებ) „ექნები ლურჯის ოდენს თავის დღეში ვერ იზამს....“ 2) „აკიდო“ – „გინჩხა-ფუნჩხა“; 3. „მოწერილი ამბავი თბილისიდან“ – а) აღწერს ქალბატონ ანა მუსხელიშვილის დაკრძალვას; б) მუშტაიდში „გილდეცინის“ ლოგბარობით მუსიკა ბულბულს დასცინის; გ) წერს აგრეთვე ლორთქიფანიის „ტრამვაიზე“, ვერის ბადვებში, საჭიდაო მოედანზე ხარზე გამობმულ „რომელაშიილებზე“; 4. ლექსი: „პატარძალივით ტურფად შემკბილს და ედემის მსგავსს იმის შვენებას...“ 5. ანეკდოტი „სამსჯავროში“. 6. რედაქციისაგან – განცხადება ჟურნალ-გაზეთის ხელმოწერა ალმანახიერ წიგნზე – „წელთა კონა“.

1890 წ. 1 ივნისი. ავტოგრაფი. მელანი. 2 ფ.

239. სალიტერატურო ხელნაწერი ჟურნალი „მოზარდი“. 1. ჩუბინაშვილის იუბილის „უდიესასწაულობის“ შესახებ; 2. „საქართველო“ – კაწახიძის ფსევდონიმით წერს სამეგრელოს სოფელ ბეთლემისა და „დედა მოქას“ შესახებ; 3. „ეგრისელის“ წერილი რედაქციას, გამოთქვამს გულისწყრომას პროფესორ ჩუბინაშვილის 50 წლის იუბილის ქართველთა მხრიდან იგნორირების შესახებ; 4. საოხუჯვო გაზეთი – „ელვა“; 5. რეპორტაჟის ნაწყვეტი ჩუბინაშვილის შესახებ; 6. „სხვადა-სხვით“ (ანეკდოტები); 7. ფლეიტონი – „ტომარი“ (ქუთათერებზე); 8. დეპეშა საქუთარ კორესპონდენტთაგან თბილისიდან, ქუთაისიდან, ფოთიდან, სენაკიდან, სოციალურ, პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების ზოგადი მიმოხილვა; 9. ახალი გამოცემანი „ფეთქა“; 10. მდგიმეს, ფოსტა; 11. „ელვის განცხადებანი“; 12. ხელისმოწერა „ელვაზე“ (რედაქტორი მესხიშვილი, ფსევდონიმი) 13. ლექსი „გამოსათხოვარი“; 14. „მოწერილი ამბავი“, მ. ყიფაინის „ივერიაში“ დაბეჭდილი სტატიის შესახებ; 15. ლექსი „რა ქნას ბაჭიამ?“ (კოწახიძის ფსევდ.); 16. ხშირი ამბავი, მოთხოვა „შინისაბენ“ (სისირყა ბეთლემის ფსევდონიმით); 17. ქართული გამოცემანი – „პრუდონი“ და „ერეკლეს აღზრდა“, ზ. ჭიჭინაძისა და ბახანას თხზულებების მოკლე კრიტიკული მიმოხილვა; 18. ნარევი – „ლამაზი სიტყვა ალექსანდრე პირველისა“ 19. „თავდაბლობა“ – ფრანტისკო I-ის ბიბლიოთეკარ დიუვალის შესახებ (იუმორისტული ჩანაწერი), რედაქტორი ასლან ლმობიერიძე; 20. „განცხადებანი“; 21. განცხადება ხელნაწერზე – წიგნი „წელთა კონა“.

1890 წ. 15 ივნისი. ავტოგრაფი. მელანი. 15 ფ.

240. შ. დადიანის დრამა – „ბრძოლა ცხოვრებისათვის“ ჟურნალისთვის „მოზარდი“.

1890 წ. 18 ივნისი. ავტოგრაფი. მელანი. 25 ფ.

241. შ. დადიანის ხელნაწერი სალიტერატურო ჟურნალი „მოზარდი“ №13, №14. დაუსრულებელი. 1. „რედაქციისაგან“ – წერილი ეხება ჟურნალის – „მოზარდი“ გაუმჯობესებას; 2. ლექსის ნაწყვეტი: „ბნელი დამე, მყუდროება და ლაპლაპი ლურჯი ზდივისა....“ (სისირყა ბეთლემი – ფსევდონიმი).
1890 წ. 15 ივნისი. ავტოგრაფი. მელანი. 1 ფ.

242. სალიტერატურო ხელნაწერი ჟურნალი „მოზარდი“ №15, №16. 1. რუბრიკა „საქართველო“ – 1885 წლის 20 ნოემბერს შ. დადიანის მიერ თქმული სიტყვა ტელ სენაკში, სათავადაზნაურო სკოლის კურთხევაზე; 2. ვოდევილი – „აი თურმე რა ყოფილა“ (1 მოქმედებად); 3. „ქართული გამოცემანი“ – შ. დადიანი განიხილავს ა. ჭყონიას წიგნს – „ისტორიული ნარკვევი“; 4. „ნარევი“ – გამოცანები; 5. განცხადებები.
1890 წ. 15 აგვისტო. ავტოგრაფი. მელანი. 4 ფ.

243. სალიტერატურო ხელნაწერი ჟურნალი „მოზარდი“ №17, №18, №19 №20 თავისი „დამატებებით“. 1. რუბრიკა „საქართველო“, წერილი ეხება ქვეყანაში სწავლის, სპოლების საჭიროების საკითხს და ამ საკითხის განხილვას თბილისის სათავადაზნაურო ბანკის სხდომებზე; 2. ლექსი – „რისტოს ვიცოცხლო“ (კაწახიძის ფსევდ.); 3. რუსული ენიდან ნათარგმნი მონადირის მოთხოვა – „დაჭრილი ირემი“; 4. რუბრიკაში „ქართული გამოცემანი“ საქმაწვილო ჟურნალის – „ჯეჯილი“ შესახებ და მასში დაბეჭდილ პუბლიკაციების ირგვლივ. აგრეთვე შიო მდგიმელის მოთხოვა დაბარჯვებას, ი. ნიკოლაშვილის მოთხოვა „ობოლი“, ბიოგრაფიული წერილი მ. გალილეიზე, პ. უმიკაშვილის საბავშვო მოთხოვა „ოლორლი“. 5. „ნარევი“ – რებუსი საფლავზე (ესპანეთში, საფლავზე ლათინურ ენაზე ამოტიფრული წარწერის გაშიფრვა და განხილვა); 6. რედაქციის მისამართი. ჟურნალის – „მოზარდი“ დამატებები: 1. საგლოვიარო ცნობები მწერალ დავით გიორგის ძე ერისთავისა და პოეტ ვახტანგ ვახტანგის ძე ორბელიანის გარდაცვალების შესახებ; 2. ლექსი – „სულ თხვრა-კვნესა, სულ მწუხადება....“; 3. „განცხადებანი“; 4. ინფორმაცია ჟურნალის –

„მოზარდი“ დირექტულების შესახებ; 5. ქ. ქუთაისის ბანკში მმართველ ჩიკვაიძის უკანონო საქციელთან დაკავშირებით ხმაურიანი კრების ჩატარების შესახებ; 6. ლექსი – „მსურს, რომ კარგი ვიყო...“ 7. „ლევა“ – 2 (საოხუნჯო გაზეთი); 8. დ. სენაკის მაზრაში წიგნსაცავების გასახის შესახებ; 9. ფელებონი „ტომარი“; 10. დეპეშები; 11. „მოზარდის“ ფოსტა; 12. განცხადებები (ხელმოწერები უცრნალებზე).

1890 წ. 15 ოქტომბერი. ავტოგრაფი. მელანი. 14 ფ.

244. სალიტერატურო უცრნალი „მოზარდი“ №18, №19, №20. 1. შ. დადიანის კრიტიკული წერილი – „ლაფხობა“, ეს არის გამოხმაურება გაზეთის – „ივერია“ №198 კასპის რ-ნის სოფელ კავთისხევის კორესპონდენტის მოწინავე სტატიაზე, ერთი წლის წინ სოფელში გასხილი ბიბლიოთეკის მუშაობის შესახებ. აგრეთვე სამეგრელოში პირველი დაწყებითი სკოლებისა და ბიბლიოთეკების გასხის აუცილებლობასთან დაკავშირებით; 2. იორდანე კოჭლის (ფსევდ.) სტატია – „იმედოთან უიმედობა?“, ზოგადად ეხება საქართველოში, ლიტერატურული სამყაროში, საიმედო ნიშნების გაჩენას, კერძოდ კი ქ. ქუთაიში გამოსულ კრებულს – „ცდა“ დაბეჭდვას, იმავდროულად თბილისში განახლებულ გაზეთს – „თეატრი“. სტატიის ავტორი აკრიტიკებს ქართველთა თვისებას – საქმის კარგიდ დაწყებას და ბოლომდე გაუტანლობას; 3. მოთხოვობა – „მმა მმაზედა“; 4. ლექსები – „გულითადს“ და „აუზნათლებელი სოფელი“.

1890 წ. 19 ოქტომბერი. ავტოგრაფი. მელანი. ჭვირნიშნიანი. 8 ფ.

245. შ. დადიანის „სხავადსხვა ნაწერები“ უცრნალისთვის – „მოზარდი“, 7 უსათაურო პიესის ფრაგმენტი.

1890 წ. 18 ნოემბერი. ავტოგრაფი. მელანი. ჭვირნიშნიანი. 14 ფ.

246. სალიტერატურო ხელნაწერი უცრნალი „მოზარდი“. 1. „საქართველო“ (წერილი ეხება ახალგაზრდების სწავლის საკითხებს); 2. ლექსი – „პასუხად კაწახიძეს“; 3. „თეატრი“, განიხილავს პიესებს – რ. ერისთავის „პარიკმახერისას“ და „თამარ ბატონიშვილი“. მოსხენიებს; 3. დადიანს, 6. ფადავას, ს. კორშიას, მ. უგულავას.

1890 წ. 1 დეკემბერი. ავტოგრაფი. მელანი. ჭვირნიშნიანი. 4 ფ.

247. სალიტერატურო ხელნაწერი უცრნალი „მოზარდი“ (აკლია დასაწყისი). 1. კაწახიძე – ლექსის ფრაგმენტი („უთხრათ: ნუ გაგვიწყრება“); 2. „საქართველო“, წერილი ეხება „ქმარვილ თოაბას“, განათლებას, ზენობას; 3. მოთხოვობის გაგრძელება – „ხშირი ამბავი“, ავტორი სოსირევა ბეთლემელი; 4. კაწახიძის ლექსი (II) – „ზაფხული“ (ხელმოცარულის გოდგა); 5. „ქართული გამოცემანი“ – წერილი ეხება გაბრიელ სერ-გაბრიელიანცის მიერ ქართული ენის შესახებ თვითმასწავლებელი წიგნის გამოცემას.

1890 წ. 13 დეკემბერი. თბილისი. ავტოგრაფი. მელანი. ჭვირნიშნიანი. 5 ფ.

248. სალიტერატურო ხელნაწერი უცრნალი „მოზარდი“ №23, №24. 1. ჩხილები – ლექსი „რად გადაცილდე მე წმიდა გზასა...“; 2. სისირევა ბეთლემის მოთხოვობა – „ხშირი ამბავი“ (გაგრძელება); 3. „შალიკო“-ს წერილი – „აკლია“ („მორთულია თუ არა თქვენი საათი?“); 4. „ქართული გამოცემანი“ (დუმილის შემდეგ), წერილი ეხება შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემას, წიგნის მხატვრულად გამფორმებელს მის. ზიჩს, შ. დადიანი რუს მხატვრად მოსხენიებს. წიგნის გამოცემას „დვირფასს“ და „ლირებულს“ უწოდებს, მაგრამ აკრიტიკებს ამ გამოცემას მხოლოდ ერთ საკითხში – დაბეჭდილ პოემას არ ახლავს შესაბამისი, ტექსტის გამშიფრავი ლექსიკონი ანუ „ასენა ზოგიერთ სიტყვათა“.

1890 წ. 15 დეკემბერი. ავტოგრაფი. მელანი. ჭვირნიშნიანი. 4 ფ.

249. შ. დადიანის დრამა „შერის მსხვერპლი“ 5.

1890 წ. ავტოგრაფი. მელანი. 22 ფ.

250. სალიტერატურო ხელნაწერი უცრნალ „მოზარდი“. 1. აკ. წერეთლის ლექსის ფრაგმენტი; 2. უცრნალის შინაარსის ზოგადი მიმოხილვა; 3. უცრნალისფასი; 4. ინფორმაცია, სათაურით „რედაქციისაგან“ (უცრნალის სამომავლო მიზნებზე, „დამატებების“ გამოცემის შესახებ); 5. ლექსი – „ახალი წელი“.

1891 წ. იანვარი. ავტოგრაფი. მელანი. ჭვირნიშნიანი. 1 ფ.

251. სალიტერატურო ხელნაწერი ჟურნალი „მოზარდი“ №2. 1. უსათაურო ლექსი ჩხიკვი ბანძელისა; 2. სისირყვა ბეთლემელის მოთხოვის – „ხშირი ამბავი“ (გაგრძელება); 3. წერილი (ხელი) „ქართული გამოცემანი“, ეძღვნება გრ. ჩარკვიანის რედაქციით საერო კალენდრის გამოცემას; 4. განცხადება სალიტერატურო ჟურნალის – „მოზარდი“ ხელმოწერაზე.

1891 წ. 15 იანვარი. ავტოგრაფი. მელანი. ჭვირნიშნიანი. 4 ფ.

252. სალიტერატურო ხელნაწერი ჟურნალი „მოზარდი“. 1. შ. დადიანის წერილი – „საქართველო“, ხელი ეხება მშობლიურ ენაზე ჟურნალის გამოცემას და ქართული თეატრის პრობლემის შესახებ; 2. „ელვა“ №4 – საოხენჯო გაზეთის ჩანართი; 3. ცოცხიანი რეპორტირი – „რეპორტირის ნახვები“; 4. ფელეტონი – წერილი მკითხველებს; 5. რუბრიკა „დეპუშა“ (თბილისი, ქუთაისი, სამეგრელო, ფოთი); 6. განცხადებანი.

1891 წ. 1 თებერვალი. ავტოგრაფი. მელანი. ჭვირნიშნიანი. 8 ფ.

253. შ. დადიანი – ნარევი (სხვადასხვა ნაწერები), ფრაგმენტები. ა) ლექსი „ნარიყალას ციხეს“; ბ) „წერილი თბილისიდან“ (კორესპონდენცია); გ) ლექსი „ვისი ბრალია?“; დ) „ბეთლემის ცხოვრებიდან“ (წვრილმანი სურათები); ე) „სურათები ბურდღაკის ცხოვრებიდან“; ვ) „ბოთლი“ (მოთხოვის, შ. დადიანის თარგ.).

1891 წ. 27 თებერვალი. ავტოგრაფი. მელანი. 29 გვ.

254. სალიტერატურო ხელნაწერი ჟურნალი „მოზარდი“ №5. 1. სისირყვა ბეთლემის მოთხოვის – „ხშირი ამბავი“ (გაგრძელება); 2. „ქართული გამოცემანი“ – განხილულია ვ. გუნიას მიერ გამოშვებული „საქართველოს კალენდარი“; 3. იუმრი; 4. „განცხადებანი“.

1891 წ. 1 მარტი. ავტოგრაფი. მელანი. ჭვირნიშნიანი. 4 ფ.

255. სალიტერატურო ხელნაწერი ჟურნალის – „მოზარდი“ პატარა დამატება. 1. „რა შეემთხვა სვლეპია-ტვლეპია დათვს?“; 2. რომელი უფრო ბედნიერია?“; 3. გამოცანები, კროსვორდი; 4. პროგრამა.

1891 წ. 5 მარტი. ავტოგრაფი. მელანი. ჭვირნიშნიანი. 2 ფ.

256. სალიტერატურო ხელნაწერი ჟურნალი „მოზარდი“ №6. აკლია დასაწყისი და II უურცელი. 1. შ. დადიანის წერილი – „საქართველო“. მიმოიხილავს იმ პერიოდის ტრაგიკულ ამბებს, წერს სახვადასხვა გამოქენილ ხელოვანთა და საზოგადო მოღვაწეთა გარდაცვალების შესახებ, ესენია: ა. მუსხელიშვილი, ვახტანგ ორბელიანი, დავით გიორგის ძე ერისთავი, ელ. ლორთქიფანიძე; 2. ლექსი – „ნარიყალას ციხეს“ (ვუძღვნი ვარია მიქელაძეს); ლექსი დაუსრულებელია და არ არის მითითებული ავტორი.

1891 წ. 15 მარტი. ავტოგრაფი. მელანი. ჭვირნიშნიანი. 2 ფ.

257. სალიტერატურო ხელნაწერი ჟურნალი „მოზარდი“ №7. 1. „საქართველო“ (წერილი თბილისიდან, კორესპონდენცია), წერს მ. ზ. ყიფიანის დაკრძალვის შესახებ (მოიხსენიებს კ. ყიფიანს, ანა უდიეს, რეიზენაუერს); 2. ქუჯი ბეთლემის ლექსი – „ვისი ბრალია?“; 3. სისირყვა ბეთლემის მოთხოვის – „ხშირი ამბავი“ (გაგრძელება); 4. ქუჯი ბეთლემის ლექსი – „ბეთლემის ცხოვრებიდან“ (წვრილმანი სურათები); 5. „ასახსნელი №1“.

1891 წ. 1 აპრილი. ავტოგრაფი. მელანი. ჭვირნიშნიანი. 6 ფ.

258. სალიტერატურო ხელნაწერი ჟურნალი „მოზარდი“ №8. 1. „სისირყვა ბეთლემის“ მოთხოვის – „ხშირი ამბავი“ (გაგრძელება); 2. „ბეთლემის ცხოვრებიდან“ (წვრილმანი სურათები) – „ქუჯი ბეთლემელი“; 3. ჩხიკვი ბანძელის მიერ შეკრებილი გამოცანები (ხალხური).

